ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 4 მაისი 2005 №97 (2420) ფასი 50 თეთრი



## ქეიფი ინგლისურ ბაღში

ბაიერნმა ჩემპიონურად მოილხინა

7



## ნიჭი და უფლება

მოფარიკავეებს დარბაზს დაუნგრევენ და აუშენებენ

15

## მოჭიდავეები უნცლოდ, უშუქოდ და უპრეზიდენტოდ

ფედერაციის ყრილობა გადაიდო

15

# ფინ ალისფერთა გამარჯვება



# დაკიდებული ტური

## ტორპედომ დინამოს საჩემპიონო ჩოხის კალთა ჩამოახია



ეროვნული ბიბლიოთეკა


AFP ლივერპულიდან

„ლივერპულის“ თავი: რაფაელ ბენიტესი

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005
## ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

ლივერპული. „ენფილდ როუდი“. 42 529 მაყურებელი

## ლივერპული 1:0 ჩელსი (0:0)

1:0 ლუის გარსია (4)

**ლივერპული**

1 დუდეკი

3 ფინანი 23 კარაგერი 4 ჰიიპია 21 ტრაორე

16 ჰამანი 25 ბიშკანი

10 ლუის გარსია 8 ჯერარდი 6 რიისე

5 ბაროში

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

შეცვლა: ბაროში — 9 სისე (60), ჰამანი — 7 კიუელი (73), ლუის გარსია — 18 ა. ნუნიესი (84)

**ჩელსი**

1 ჩეხი

14 ჯერემი 6 რ. კარვალიუ 26 ტერი 13 გალასი

4 მაკელელე

30 ტიაგუ 8 ლამპარდი

10 ჯ. კოული 22 გუდიონსენი

15 დროგბა

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

შეცვლა: ტიაგუ — 9 კეჟმანი (68), კოული — 16 რობენი (68), ჯერემი — 29 ჰუთი (76)

გაფრთხილება: ბაროში (8)
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

ჯარიმა: 13-12; კუთხური: 2-4; კარისკენ დარტყმა: 2-6; კარში დარტყმა: 4-1; თამაშგარე: 1-4

**თამაშის** 90 წუთს მსაჯმა კიდევ ექვსი წაამატა. ამ ექვსში უთუოდ შედიოდა ის დრო, რომელიც ორივე გუნდმა შეცვლებზე დახარჯა და, ალბათ, ის წამებიც, რომელთა განმავლობაში „ენფილდ როუდის“ სტიუარდები ტრიბუნიდან მოედანზე ჩამხტარ მავან გიჟმაჟს შესაპყრობად და დასაოკებლად დასდევდნენ.

და სწორედ ამ ექვსი წუთის ბოლოწამს შეიქმნა მასპინძელთა კართან ეპიზოდი, რომელიც მათ ბედად გოლით არ დასრულდა, თორემ, სავარაუდოდ, სეზონის და ვინ იცის, წლის ყველაზე დიდი საფეხბურთო დრამის მოწმეები გავხდებოდით — ეიდურ გუდიონსენის მიერ კარის მიმართულებით, უფრო სწორად კი, გასწვრივ დარტყმულ ბურთს შორეულ ძელთან დიდიე დროგბა სანტიმეტრებით ასცდა.

ასე და ამგვარად, „ლივერპულმა“ გაიმარჯვა და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა — შეხვედრის ერთადერთი გოლი მეოთხე წუთზე მერსისაიდელთა ესპანელმა, შეტევის მოყვარულმა ნახევარმცველმა ლუის გარსიამ გაიტანა. შეგახსენებთ, რომ წინა კვირას ლონდონში მეტოქეები უგოლოდ დაზავდნენ.

ლუის გარსიამ ასე გაიტანა: „ჩელსის“ საჯარიმოში ბურთი მასპინძელთა კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა გადააგდო, აქ მილან ბაროში და კარიდან გამოსული ლონდონელი მეკარე პეტრ ჩეხი შეებრძოლნენ ერთმანეთს, რის შედეგადაც ჩეხმა მეკარემ თანამემამულე ფორვარდი წააქცია, მაგრამ ბურთს გარსიამ მისდია და მისი კარში შეგდება სცადა. ამ ეპიზოდში გოლი კლასიკურად ანუ ბადის შერხევით არ დასრულებულა: ბურთს ჰაერში ახლა „ჩელსის“ მცველი უილიამ გალასი შესწვდა და გარეთ გამოაგდო, მაგრამ არბიტრმა შეამჩნია, რომ მან კარის ხაზი გადაკვეთა და ჩათვალა.

მეორე ტაიმში ეგრეთ წოდებული სათამაშო უპირატესობა სტუმრებმა მოიპოვეს, ძირითადად ისინი უტევდნენ და, მართალია, საბოლოო დარტყმამდე საქმის მიყვანა ძალიან უჭირდათ, ვითარებას ისინი აკონტროლებდნენ.

აღსანიშნავია ფრენკ ლამპარდის მიერ 67-ე წუთზე დარტყმული ჯარიმა, როდესაც მეკარე ირჟი დუდეკმა ითამაშა ბრწყინვალედ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ინგლისის ახალი ჩემპიონისთვის სავალალოდ დასრულდა.

**ბაპუნა ძიდია**





AFP ლივერპულიდან



# ნემსაძე და გუცაევი ერთად არ იქნებიან

**ინტრიგა, ჭორი...** რაც უფრო ახლოვდება ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა და საპრეზიდენტო არჩევნები, მრავლდება უსაფუძვლო ვარაუდებიც.

ხმა გავრცელდა, პრეზიდენტობის ორი ყველაზე რეალური კანდიდატი, გიორგი ნემსაძე და ვლადიმერ გუცაევი ერთიანდებიან და ფედერაციაშიც ერთ გუნდად მოსვლას აპირებენო.

— ჩვენ არავისთან გაერთიანებას არ ვაპირებთ და არც გვქონია ამის სურვილი — გვითხრა გიორგი ნემსაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა — გიორგი ნემსაძე კი შეხვდა ვეტერან ფეხბურთელებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ გუცაევის გუნდთან შეერთებას ვაპირებთ.

შეგახსენებთ, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირმა ვლადიმერ გუცაევის სასარგებლოდ თავისი მხარდაჭერა უკვე დაადასტურა.

ტარიელ ხაჩიკაშვილი კი ამბობს:

— ჩვენ გვაინტერესებს ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელების აზრი და მათთან კონსულტაციებს მომავალშიც გავაგრძელებთ. ოღონდ, ვიმეორებ, არავისთან გაერთიანებას არ ვაპირებთ. თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ჩვენ არ ვიცით ვლადიმერ გუცაევის წინასაარჩევნო პროგრამა.

**კობა ინასარიძე**



### ინგლისი
პირველი ლიგა
გადადებული მატჩი

რედსემი 1:2 ბრენტფორდი

### გერმანია
სამხრეთ რეგიონალლიგა. გადადებული მატჩი

ფოიხტი 4:3 ელვერსბერგი

### სლოვაკეთი
პირველი ლიგა. XXVIII ტური

დუბნიცა 3:2 რუჟომბეროკი
სობოტა 3:0 ტრენჩინი
ბანსკა ბისტრიცა 2:0 ინტერი

### შვეიცარია
ჩელენჯლიგა. გადადებული მატჩი

შო დე ფონი 5:0 ლუგანო

### შვედეთი
სუპერეტა. II ტური

დეგერფორსი 1:0 ფრიოლუნდა
ფალკენბერგი 0:3 ლიუნგსკილე
გაის 1:1 ბოდენსი

### პოლონეთი
I ლიგა. გადადებული მატჩები

კატოვიცე 1:1 პოგონი
ლეხი 1:0 ოდრა

### ავსტრია
პირველი დივიზიონი
XXXV ტური

ალტახი 1:1 აუსტრია (ლ)
უნტერზიბენბრიუნი 2:1 ლეობენი
კაპფენბერგი 2:0 კერნტენი
ვიორგლი 1:2 რიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით ყიფიანის თასი

**ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები**

# ცხელი უთო მოდის

მეტეოროლოგებისგან და ციდან კარგი არაფერი ისმის და ფეხბურთის ოქროსავით, მცხეთაში და ზესტაფონში დანამულთაგან ნახევარს დააუთოვებენ — თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩებია, ანუ ორი დაუთოვდება და ორიც ფინალში გავა.

ზესტაფონში ალბათ სტადიონი გაივსება მიუხედავად დარ-ავდარისა, ხოლო მცხეთაში ტრიბუნის გავსებას ისიც უშლის ხელს, რომ „ვიტ ჯორჯიასთვის“ „ლოკომოტივთან“ ორი ბურთის ამოქაჩვა ძალიან ძნელი საქმეა, მაგრამ ეს სათასო მატჩია და სათასო გამონათებისგან საქართველოშიც კი დაზღვეული არავინაა...

ზესტაფონი. 4 მაისი. 16 საათი. ცენტრალური

## ზესტაფონი — თბილისი (0:0)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. კრიჭაშვილი (თბილისი); **ინსპექტორი:** ო. გუნთაძე



პირველი მატჩის დარად მაყურებელი „ზესტაფონი“ — „თბილისის“ იმერულ შეხლასაც არ მოაკლდება

# უპრემიოები თავდადებულების წინააღმდეგ

*ჩემპიონატის ორ წინა ტურში „ზესტაფონი“ ხელმოცარული დარჩა — ჯერ „ლოკომოტივთან“ თბილისში წააგო 0:1, მერე ფოთში „კოლხეთთან“ ამავე ანგარიშით დამარცხდა, მაგრამ „ზესტაფონს“ უმაღლესი ლიგიდან გავარდნა არ ემუქრება და ვერც ჩემპიონობისთვის თუ საპრიზო ადგილებისთვის იბრძვის მიუხედავად იმისა, რომ საამისო პოტენცია სეზონის მეორე ეტაპზე მართლაც გააჩნია. მოკლედ, „ზესტაფონისთვის“ ახლა მთავარი თასია და დღეს ფინალში გასასვლელად ათასობით გულშემატკივარიც დაეხმარება.*

*„ზესტაფონს“ და „თბილისსაც“ ყველანი ჯანზე ჰყავთ და არც დისკვალიფიკაციის გამო დააკლდებათ ვინმე. დღევანდელ მატჩზე აზრის გამოთქმა კი „ზესტაფონის“ ფორვარდ ზაზა ზირაქიშვილს და „თბილისის“ მეკარესა და კაპიტანს სოსო გრიშიკაშვილს ვთხოვეთ...*

***ზაზა ზირაქიშვილი:*** არ ვიცი, „თბილისი“ დაცვაში ჩაჯდება თუ არა, მაგრამ როცა მეტოქე ამას აკეთებს, ასეთ შემთხვევაში მის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის ძნელია. თუმც, თუ „თბილისი“ დაცვაში ჩაჯდება, გამარჯვებისკენ მიმავალი გზის გამონახვა შეუძლებელი მაინც არ იქნება. გოლის გატანა „თბილისსაც“ უნდა აწყობდეს, რადგან პენალტების სერია ლატარიაა.

**— ამ მატჩის მოგებისთვის კლუბის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელებს განსაკუთრებული პრემია დაგიწესათ?**

— არა, ამ თამაშისთვის პრემია საერთოდ არ გვაქვს, პრემიას მხოლოდ თასის მოპოვებისთვის მოგვცემენ.

**— მეტოქეზე რას იტყოდი? „თბილისს“ 17 აპრილს საჩემპიონატო მატჩში სტუმრად 3:0 მოუგეთ...**

— ამის მიუხედავად მეტოქე ათვალწუნებული სულაც არ გვყავს, „თბილისი“ კარგი გუნდია ნიჭიერი ახალგაზრდებით და ისეთი გამოცდილი ფეხბურთელებით, როგორებიც სოსო გრიშიკაშვილი, რევაზ ქემოკლიძე და თორნიკე აფციაური არიან. მოკლედ, მეტოქეს ვაფასებთ.

**— ჩემპიონატის ბოლო ტურში „კოლხეთთან“ „ზესტაფონმა“ სარეზერვო შემადგენლობა გაიყვანა...**

— იმიტომ, რომ ფოთში თამაშიდან ოთხ დღეში თასის ნახევარფინალი გვქონდა სათამაშო. ჩვენი ძირითადი შემადგენლობის ექვს ფეხბურთელს ორ-ორი ყვითელი ბარათი აქვს და არ გვინდოდა, „კოლხეთთან“ თამაშის გამო ახლა რომელიმე დისკვალიფიცირებული ყოფილიყო, ტრავმიანობაც არაა გამორიცხული და არ გავრისკეთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

***სოსო გრიშიკაშვილი:*** ზესტაფონში რა ტაქტიკით ვითამაშებთ, ჯერ არ ვიცით. ამას ალბათ თამაშის წინ გვეტყვიან მწვრთნელები, მაგრამ ვარჯიშებზე ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ მეტოქეს თამაშს არ გავუხსნით და, ჩემი აზრით, ასეც მოხდება.

**— თამაშს იმიტომ არ გახსნით, რომ ფავორიტი „ზესტაფონია“?**

— ეგრეა, ფავორიტი „ზესტაფონია“.

**— „თბილისს“ რისი იმედი აქვს?**

— ჩვენ საკუთარი ძალების გვჯერა. ამ ცოტა ხნის წინ „ზესტაფონმა“ შინ 3:0 კი მოგვიგო, მაგრამ ეს უკვე წარსულს ჩავაბარეთ. როგორც რუსები იტყვიან, „საბირის“ — ასეთი თავდადებით უნდა გავიდეთ მოედანზე და ამის იმედად ვართ — ერთ თამაშზე თავგანწირვა მართლაც შეგვიძლია, როცა ფინალში გასასვლელად ერთი მატჩის მოგებაა საჭირო, უვარჯიშებელმაც უნდა შეძლო თავდადებით თამაში.

**დავით თავართქილაძე**

მცხეთა. 4 მაისი. 16 საათი. არმაზი

## ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი (0:2)

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); **ინსპექტორი:** ნ. კაკულია

# ორი ბურთი და სხვაობა

## ვიტურ-ლოკომოტივური აზრები

*საყურადღებოა, რომ თბილისის „ლოკომოტივი“ ერთადერთია, მეორე ეტაპზე თამაში რომ არ წაუგია. ლოკომოტიველებს სოლიდური ფორა აქვთ მცხეთური მატჩისთვის და ლოგიკას იქითკენ მივყავართ, რომ ნოდარ აკობიას გუნდი ფინალში უნდა გავიდეს. მაგრამ ალოგიკურობა ხშირად ყოფილა სათასო მატჩების ხვედრი და ვინძლო, „არმაზზე“ საინტერესო ბურთაობაც გაჩაღდეს. ისევე, როგორც „ზესტაფონი“ — „თბილისის“ მატჩში, აქაც ორივე გუნდში დისკვალიფიცირებული და ტრავმიანი არავინაა...*

***ზურაბ ბერიძე, „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწე:*** თქმა არ უნდა, რთულ მდგომარეობაში ვართ, თამაშზე მხოლოდ მოსაგებად კი არა, მინიმუმ ორი ბურთის სხვაობით მოსაგებად უნდა გავიდეთ.

**— პირველ შეხვედრაში „ლოკომოტივთან“ 0:2 რომ დამარცხდით, ამას რას დააბრალებდით?**

— ის თამაში ორი ბურთის სხვაობით წასაგები ნამდვილად არ იყო, მაგრამ დაცვაში დაშვებული შეცდომის გამო ასე მოხდა. ახლა დაცვაში თამაშიც უნდა გამოვასწოროთ და ყურადღება თავდასხმაზე გადავიტანოთ.

**— „ვიტ ჯორჯიას“ ბოლო დროს არასტაბილურობა დასჩემდა...**

— ჩემპიონატში მართლაც მოვიკოჭლებთ, მაგრამ თასისთვის „ვიტ ჯორჯია“ ძალიან მობილიზებულია, „ლოკომოტივთან“ მთელი მონდომებით ვითამაშებთ.

**— „ვიტ ჯორჯიას“ სასტარტო შემადგენლობაში ერთდროულად სამ თავდამსხმელს ჯერ არ უთამაშია — ოთარ მარცვალაძე, ვლადიმერ გოჩაშვილი და ზაზა სახოკია — ახლაც ძველებურად ითამაშებთ?**

— შესაძლებელია, სწორედ ასეთი თავდასხმით დავიწყოთ მატჩი, თუმც ფორვარდი კიდევ გვყავს — ირაკლი ებანოიძე. მოკლედ, შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ.

**— „ლოკომოტივზე“ რა აზრის ხართ?**

— სტაბილური გუნდია და ძალიან მომწონს. განსაკუთრებით თავდასხმას და ნახევარდაცვას გამოვარჩევდი, მაგრამ აუცილებლად უნდა მოვიგოთ, თანაც ორ ბურთზე მეტი სხვაობით.

***ზვიად სტურუა, „ლოკომოტივის“ მეკარე:*** ეს სათასო მატჩია და ყველას გათვითცნობიერებული გვაქვს, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს — სერიოზულად ვემზადებით და 2:0-ის შემდეგ მოშვებულები სულაც არ ვართ. „ვიტ ჯორჯია“ ხელწამოსაკრავი გუნდია არაა, ჩემპიონატის ბოლო ტურში რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა, მეტოქე თასზეა ორიენტირებული. ასე რომ, მიუხედავად ჩვენი ორბურთიანი უპირატესობისა, ყველაფერი წინაა.

**— „ლოკომოტივი“ უფრო რას უმიზნებს — თასს თუ ჩემპიონატს?**

— თავიდან მთავარი აქცენტი თასზე გვქონდა, მაგრამ ჩემპიონატშიც კარგად წავვიდა საქმე და ახლა თასისთვისაც ვიბრძვით და მეორე ან მესამე ადგილისთვისაც.

**— „ვიტ ჯორჯიასთან“ „ლოკომოტივი“ ჩაკეტილ თამაშს შეეცდება?**

— მთავარი შედეგი კია, მაგრამ, ვფიქრობ, ჩაკეტილი თამაში არ იქნება.

**დავით თავართქილაძე**



„ლოკომოტივმა“ „ვიტ ჯორჯია“ ორბურთიან ალყაში მოაქცია

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVI ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

# 31 ტური
## მიმოხილვა



დავით გამეზარდაშვილის (№25) გადამწყვეტი თავური

როგორც ყოველთვის: ახლოვდება ჩემპიონატის ფინიში და თამაშების ჩაწყობა-გარიგებაზე ლაპარაკიც დაიწყო. გავარდნის პირას მყოფი „კოლხეთი“ „ზესტაფონს“ მასპინძლობდა. ბევრი არათუ ეჭვობდა, ამტკიცებდა კიდეც, სტუმრები წააგებენო და ასეც მოხდა...

მოკლედ, 31-ე ტურის ზემოხსენებული მატჩისა და „დინამო“—„ტორპედოს“ ჩაუთვლელად ყველა მატჩი ლოგიკური შედეგით დასრულდა.

ამ სააღდგომო დღეებში თითოეული შეხვედრის ცალკე და წვრილად მიმოხილვით არ დაგღლით (მით უმეტეს, ოთხი დღის შემდეგ) და მხოლოდ ტურის მცირე მიმოხილვას შემოგთავაზებთ, რასაც, ბუნებრივია, მთავარმატჩით, „დინამო“ — „ტორპედოთი“ დავიწყებთ...

# დაკიდებული ტური

## პოლიციამ მსაჯის ცემას უმსაჯა. მახარაძემ ბავშვები ფოთში გაასეირნა. ბოლნისელებმა მეშკოვზე იეჭვიანეს

*„თამაში რომ გაგვეხსნა, ალბათ, დავისჯებოდით.* ამიტომაც დაცვა გავაძლიერეთ და კონტრშეტევებზე თამაში ვამჯობინეთ. როგორც ხედავთ, ტაქტიკამ გაამართლა“ — თქვა ნამატჩევს „ტორპედოს“ თავკაცმა ოთარ გაბელიამ და ისიც დასძინა, ისეთი მატჩი იყო, ნებისმიერი ანგარიშით შეიძლებოდა დამთავრებულიყო.

როგორ დამთავრდა „დინამო“ — „ტორპედო“ და გამარჯვების გოლი რომელ წუთზე გავიდა, ოქმიდანაც ჩანს. აქ კი გეტყვით, რომ თამაშიდან გამომდინარე ეს ანგარიში, ლოგიკური არ უნდა იყოს. „დინამოს“, რომელიც ტრავმას ამ შეხვედრაშიც ვერ ასცდა და მცველი სერგო ორბელაძე დაუშავდა, მთელი თამაში უტევდა. მასპინძლებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ერთის მეტი გოლი ვერასდიდებით გაიტანეს. სამაგიეროდ კი ორი მიიღეს, თანაც მაშინ, როცა ლევან სილაგაძეს თავურით პირველი გოლი გატანილი ჰქონდა. „ტორპედომ“ რევაზ ჯიქიას ჩინებული დარტყმით ანგარიში ხუთ წუთში გაათანაბრა, ბოლო წუთზე კი კუთხურიდან ჩაწოდებულს ქუთაისელთა ტანმაღალმა მცველმა დავით გამეზარდაშვილმა სწორად შეურჩია ადგილი და სამქულიანი თავური გაიტანა.

მსაჯმა ლევან ფანიაშვილმა ძირითად დროს უჩვეულოდ ცოტა, ერთი წუთი წაამატა და მატჩიც დაამთავრა.

*ბოლნისში კი მსაჯები შეურაცხჰყვეს,* განსაკუთრებით ასისტენტი ავთანდილ სამხარაძე, ვინც, მასპინძელთა ქომაგების აზრით, „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ რამდენიმე თამაშგარე გამოიგონა და „სიონს“ გოლის გატანის შანსი მოუსპო. „თამაზ სტეფანიაზე“ ცეცხლსაშიში ვითარება შეიქმნა და კიდევ კარგი, გალიზიანებულმა ქომაგმა ნერვები მოთოკა. ბოლნისელებს უთქვამთ, „ზესტაფონმა“ „კოლხეთს“ თამაში განგებ დაუთმო, „სიონს“ კი მსაჯები ერჩიან და უმაღლესი ლიგიდან ჩვენი გაგდება სურთო...

წლეულს დაუმარცხებელმა „ლოკომოტივმა“ კი „სიონთან“ საქმე მატჩის დასაწყისშივე მოითავა. თამაშის დაწყებიდან წუთიც არ გასულიყო, ლაშა ქებაძის დარტყმული ბურთი რიკოშეტით მასპინძელთა კარში რომ აღმოჩნდა. ზოგადად, სწრაფი და თვალსასეირო შეხვედრა იყო, „ლოკომოტივი“ უფრო გააზრებულად კი თამაშობდა, მაგრამ ვალში არც მასპინძლები დარჩენილან და მათაც ჰქონდათ კარგი საგოლე შანსები. თუმც ყველაზე რეალური მომენტი იმავ „ლოკომოტივს“ ჰქონდა — ბოლო წუთზე მიხეილ ბობოხიძეს პენალტი მეკარე მინდია ბობლიაშვილმა აუღო.

*...და თუ ბოლნისში ტრიბუნა სანახევროდ მაინც იყო სავსე, ბათუმურ სარბიელზე ოდენ ფეხბურთელთა შეძახილები ისმოდა.* „ბათუმი“ — „ვიტ ჯორჯიაზე“ დამსწრენი თითებზე ჩამოითვლებოდა. თამაშიც ცარიელი ტრიბუნების შესაფერისი გამოდგა. თანაც, „ზესტაფონისა“ არ იყოს, სათამაშოდ „ვიტ ჯორჯიაც“ სათადარიგოებით ჩავიდა ბათუმში. მართალია, საგოლე შანსები ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ მეტოქეები ისე უნიათონი იყვნენ, გასაკვირი იქნებოდა, გოლი გაეტანათ. ყველაზე რეალური მომენტი კი მასპინძლებისა იყო, სამი შემტევი ერთი მცველის წინააღმდეგ დარჩა, მაგრამ ლევან ხომერიკმა ბურთის გათამაშებას დარტყმა ამჯობინა და მიზანს ააცილა. ნამატჩევს მწვრთნელები კმაყოფილნი იყვნენ, განსაკუთრებით ჯანი კარნევალი, რომელმაც თქვა, მიხარია, ბათუმში რომ ვარ და არც ერთ გუნდს არ წაუგიაო. შეგახსენებთ, კარნევალი ადრე „ბათუმის“ მწვრთნელი იყო.

*ფოთში კი ამბები იყო, მტრისას...* თამაშისას მოედანზე ორი ლაწირაკი შეიჭრა და არბიტრის ასისტენტს კობა გაბრიაძეს სულ პანღურები ურტყა, მსაჯმა ზურგი დაუბრუნა და გაწევ-გამოწევაც დაიწყო. პოლიცია სად იყო, კაცმა არ იცის, ხოლო როცა „სამართალდამცავები“ გამოჩნდნენ, ბალღები გისოსებში გაძვრნენ და თავის გზას გაუყვნენ.

იყო მეორე, კურიოზული ამბავიც: „ზესტაფონის“ მწვრთნელმა თემურ მახარაძემ, ვინც ფოთში მესამე შემადგენლობა ჩაიყვანა (თანაც 14 ფეხბურთელი), დაშავებულის შეცვლა არ „იკადრა“ და თამაში გუნდს ათი კაცით ჩაამთავრებინა. მართალია, როცა მიხეილ ჭუმბურიძე დაშავდა, „ზესტაფონს“ სათადარიგოდ ოდენ მეკარე ჰყავდა დარჩენილი, მაგრამ მთელი 38 წუთი კაცნაკლულმა რატომ უნდა ითამაშო, გაუგებარია. „კოლხეთის“ გოლი კი ედიშერ მარგალიტაძემ გაიტანა და ისიც აღვნიშნოთ, რომ „ზესტაფონთან“ მატჩამდე „კოლხეთს“ სამი თვის ვალი გაუსტუმრეს.

*გორში კი „თბილისმა“ მოლოდინისამებრ მოიგო.* მატჩის ერთადერთი გოლი ბექა ჟღენტმა 69-ე წუთზე გაიტანა.

---

თბილისი. 30 აპრილი. 16 საათი. ეროვნული. 1 000 (ტევადობა 70 900)

### დინამო 1:2 ტორპედო

1:0 სილაგაძე (28), 1:1 ჯიქია (34), 1:2 გამეზარდაშვილი (82)

**დინამო:** ზოიძე, დ. ოდიკაძე, ორბელაძე (ლ. ჭელიძე 46), ჭიჭვეიშვილი, კანდელაკი, გ. ჭელიძე (ნავალოვსკი 61), სილაგაძე, ბაბუნაშვილი, ლ. ნოზაძე, დვალიშვილი (კაკალაძე 81), მელქაძე
*სათადარიგონი:* კუნეგატო; გ. თომაშვილი, კ. მახარაძე, დვალი
**მწვრთნელი:** კახა ცხადაძე

**ტორპედო:** მიროლანი, აქრაძე, ეთრალიძე, მემარნიშვილი, რაქვიაშვილი, გამეზარდაშვილი, ნერგაძე, კოშკაძე, ბოლქვაძე, რ. ჯიქია, მეგრელაძე
*სათადარიგონი:* გ. გაბელია; სოსელია, წუწუნავა, ლ. მერებაშვილი, მ. ლონლაძე, დ. ონიანი, ჯანჯალია
**მწვრთნელი:** ოთარ გაბელია

**გაფრთხილება:** დვალიშვილი (27), ბოლქვაძე (79)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. მენთეშაშვილი; მ. მალაღურაძე (ორივე თბილისი)

**ინსპექტორი:** ნ. კაკულია

ბოლნისი. 30 მაისი. 16 საათი. თამაზ სტეფანია. 1 500 (ტევადობა 3 000)

### სიონი 0:1 ლოკომოტივი

0:1 ქებაძე (1)

*ბობოხიძემ ვერ გაიტანა პენალტი (90, მეკარე)*

**სიონი:** ბობლიაშვილი, თ. უგრეხელიძე, სიდამონიძე, ი. ვაშაკიძე, ნადირაშვილი (ბ. შელია 70), ბაჟელიძე, სვანიძე, დათვაძე (რუსია 46), ავალიანი, ქარდავა (ისიანი 60), გ. დოლიძე
*სათადარიგონი:* ასლანაძე; ოქრობირიძე, ნ. ლაბაძე, ჩაჩუა
**მწვრთნელი:** მერაბ კოჭლაშვილი

**ლოკომოტივი:** სტურუა, მახვილაძე, გ. ონიანი, გიგაური, სეთურიძე, რ. ონიანი, ლ. ქებაძე, დ. ფოფხაძე (მანჩხავა 46), კახელიშვილი (რამონი 46), ბობოხიძე, სირბილაძე
*სათადარიგონი:* ზ. ჩალაძე; სანიკიძე, ჩივაძე, ალავერდაშვილი, მაკაროვი
**მწვრთნელი:** ნოდარ აკობია

**გაფრთხილება:** უგრეხელიძე (37), გიგაური (49), რუსია (57)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. შილაკაძე (თბილისი)

**ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

ფოთი. 30 აპრილი. 16 საათი. ფაზისი. 100 (ტევადობა 6 000)

### კოლხეთი 1:0 ზესტაფონი

1:0 მარგალიტაძე (54)

**კოლხეთი:** ბათიაშვილი, აკობია, კილასონია, დ. ნარსია, ძარია, ტყებუჩავა (თაყაძე 67), ე. მარგალიტაძე, მელიქია, ვართაგავა (ყურაშვილი 70), მიკუჩაძე, ზ. ქუთათელაძე
*სათადარიგონი:* გიზო შენგელია; ნ. ნარსია, ზ. გოროზია, გოგნაძე, ხიზანიშვილი
**მწვრთნელი:** სერგო გაბელია

**ზესტაფონი:** ქვაჩახია, გვარუციძე, ხინგავა, სულაკაძე, კაპანაძე, ბ. ნოზაძე, ფორჩხიძე, ფურთუხია, კვერნაძე (ჭუმბურიძე 46), ივანიშვილი (ბესარაშვილი 46), ბ. გოცირიძე
*სათადარიგო:* ბზიკაძე
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** დ. ნარსია (51), მელიქია (76)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), ზ. ჯვარიძე (თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ინსპექტორი:** ა. შალამბერიძე

ბათუმი. 30 აპრილი. 16 საათი. დინამო. 100 (ტევადობა 5 000)

### ბათუმი 0:0 ვიტ ჯორჯია

**ბათუმი:** თოთლაძე, ი. მახარაძე, ბეგლარ თედორაძე, გალოგრე, გუშარაშვილი, ბესო თედორაძე, ცანავა, ლ. ხმალაძე, ღლონტი (ხომერიკი 46), დარჩიძე (პ. ჩოხელი 62), ფირცხალაიშვილი (მეტრეველი 64)
*სათადარიგონი:* ი. ბალაძე; გ. მანწკავა, ჯინჭარაძე, რამიშვილი
**მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე

**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, გ. კვახაძე, ა. კვახაძე, აფშილავა, გველესიანი, ლ. მანწკავა (სახოკია 29), კუსრაშვილი (კობიაშვილი 67), პ. დათუნაიშვილი, ლ. კვარაცხელია, ცხომარია, ებანოიძე
*სათადარიგო:* ბედიაშვილი
**მწვრთნელი:** ჯანი კარნევალი

**გაფრთხილება:** ებანოიძე (63)

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**ინსპექტორი:** ბ. მჭედლიშვილი

[illegible]ი. 30 აპრილი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 200 (ტევადობა 8 230)

### დილა 0:1 თბილისი

0:1 ჟღენტი (69)

**დილა:** ნასყიდაშვილი, მგელაძე, ქარქოზაშვილი, დ. ხანიშვილი, დ. მაისურაძე, რევაზიშვილი, ჯობაძე (ნადირაძე 65), თომაშვილი, ა. ლაბაძე, კ. ხანიშვილი (ტლაშაძე 62), სულთანიშვილი (ზექალაშვილი 75)
*სათადარიგონი:* ა. მაისურაძე; ლ. გოჩაშვილი, სამადაშვილი, სადალაშვილი
**მწვრთნელი:** რევაზ მამესწარაშვილი

**თბილისი:** გრიშიკაშვილი, შ. ჯიქია (აფციაური 53), ლოლაძე, ქემოკლიძე, მიქიაშვილი, მინ ჩოი (რევაზ ბარაბაძე 60), გ. ფოფხაძე, გეწაძე, ბ. ჟღენტი, ფიფია, ს. იაშვილი (ბოჭორიძე 84)
*სათადარიგონი:* ჯინჭარაძე; ხიდეშელი, ლილუაშვილი, მესხი
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**გაფრთხილება:** თომაშვილი (38)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ინსპექტორი:** ს. კოტრიკაძე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ეტაპი

## 31 ტური მიმოხილვა

აღდგომისწინა, 31-ე ტური ხმაურიანი გამოდგა. აქეთ „დინამო“ — „ტორპედოს“ დიდქართული ჯახი იყო, იქით „სიონ“ — „ლოკომოტივის“ შფოთიანი შეხლა; ზღვისპირეთში ორი, ერთი შეხედვით მშვიდი მატჩი გაიმართა: „ბათუმი“ — „ვიტ ჯორჯია“ და „კოლხეთი“ — „ზესტაფონი“ ისე დამთავრდა, როგორც დაგიბარებია; „დილა“ — „თბილისზე“ კი თქვენი ნებართვით აღარ შევჩერდებით...

ტურის მთავარი ამბავი, რა თქმა უნდა, ქუთათურთა მიერ „დინამოს“ ძლევაა. ქართული „კლასიკო“ ისეთივე მოულოდნელობებით და სიურპრიზებით იყო აღსავსე, როგორიც ამ გუნდების შეხვედრას ეკადრება. ეგ არის, მოედნის უვარგისობის თუ ფეხბურთელთა მოუმზადებლობის გამო თამაში ძალიან დუნე და დაბალტემპიანი გამოდგა.

„კოლხეთი“ კი „მკვდრეთით აღდგა“ — „ზესტაფონის“ მესამე შემადგენლობასთან 1:0 მოგებას „მკვდრეთით აღდგომა“ თუ ჰქვია, მაშინ ეგრე იყოს. ამ მატჩს დიდი მითქმამოთქმა ახლდა, იმერლებმა განგებ დათმეს თამაშიო, მაგრამ ამ საკითხს ჩვენ ასე ვერ მივუდგებით — ბოლოს და ბოლოს, თემურ მახარაძეს რკინის არგუმენტი აქვს: წინ თასის ნახევარფინალი ელის და ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები თუ დაასვენა, მისი გადასაწყვეტია.

აღმაშფოთებელი და პასუხის მოსათხოვი კი ის არის, რომ ზესტაფონელები ამგვარ „შარში“ წინა ტურშიც გაეხვნენ — მაშინაც ბევრი ამბობდა, „ლოკომოტივი“ მოიგებსო და... ასეც მოხდა.

გაგვაგებინეთ, ხალხო, თამაშის გატეხვას თავის გატეხვა სჯობია თუ არა?

# მსაჯები დანის წვერზე

## არ გაგივა ეგ ნომერი, მეშკოვ!

**დიდი ამბავი** იყო შაბათს ბოლნისში: შეიძლება ითქვას, „თამაზ სტეფანიაზე“ მსაჯებმა დანის წვერზე გაიარეს. გვერდითმა ავთანდილ სამხარაძემ ბარე 7-8-ჯერ დატოვა ბოლნისელები თამაშგარეში. თავს ვერ დავდებთ, სამხარაძე ყველა მომენტში შეცდა, ან ყველაში მართალი იყოო, მაგრამ „სიონის“ ქომაგები გაგიჟებამდე კი მიიყვანა. ბოლო წუთზე მიხეილ ბობოხიძის გაცუდებული პენალტიც სალაპარკო გახდა — გულშემატკივართა აზრით, ეპიზოდის გმირი რამონი ბოლნისელებმა საჯარიმოს გარეთ წააქციეს. ამისთვის მთავარ მსაჯ ალექსანდრე მეშკოვსაც გვარიანი ლანძღვა-გინება დაატეხეს თავზე, ნამატჩევს კი „სიონის“ უფროსი დავით სილაგაძე გამწარებული შესჩიოდა მატჩის ინსპექტორ შოთა ხინჩაგაშვილს — სწორედ ამიტომ არ უნდა ამ მსაჯთა კომიტეტს ფედერაციის სათავეში წესიერი კაცი, მერე ხომ ველარ გაბედავენ მაქინაციებსო... სილაგაძეც, „სიონის“ ქომაგების მსგავსად, პირდაპირ ამბობდა, ჩვენი გავარდნა სურთ. აგერ, კოლხეთმა“ როგორი თამაში მოუგო „ზესტაფონს“, ყველა მიხვდებოდაო.

ეჰ, საქართველოს ჩემპიონატში რაც არ მოხდეს, ის გაგიკვირდეს. ნაღდად ვერ ვიტყვით, თითქოს „სიონმა“ მაინცდამაინც მსაჯების გამო წააგო, მაგრამ სილაგაძის ნათქვამი მთლად უსაფუძვლო არ უნდა იყოს...

ნამატჩევს მსაჯთა ბრიგადამ გავეშებულ ბოლნისელ ქომაგებს ძლივს დააღწია თავი. გულშემატკივრებმა ლანძღვა-გინება დაადევნეს „ესკორტად“ თემიდელებს, დავით სილაგაძე კი შოთა ხინჩაგაშვილს მიუბრუნდა, თქვენ უდიდეს პატივს გცემთ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რათა მეშკოვმა დღეის იქით ველარ იმსაჯოსო.

„ყელში ამოვიდა ამდენი ჩაწყობა, ჯერ რაც მერაბ ჟორდანიამ დამართა „სიონს“, ის არ ყოფნიდა?! ათმატჩიან დისკვალიფიკაციას გვაძლევდა, ბოლნისში ფეხბურთი ჩაკლა, სწორედ იმ „ოქროს მატჩის“ შემდეგ აიწეწა „სიონის“ საქმე“ — გამწარებული იყო სილაგაძე.



ბადრი კვიციაძის ფოტო

### სიმბოლური ნაკრები

| | |
|---|---|
| ირაკლი სირბილაძე | ლოკომოტივი |
| რევაზ ჯიძია | ტორპედო |
| შოთა ბაბუნაშვილი | დინამო |
| ალექსანდრე კოშკაძე | ტორპედო |
| ლაშა ნოზაძე | დინამო |
| გიორგი ნერგაძე | ტორპედო |
| ლაშა ძებაძე | ლოკომოტივი |
| როინ ონიანი | ლოკომოტივი |
| ლევან სილაგაძე | დინამო |
| დავით გამეზარდაშვილი | ტორპედო |
| მირზა მერლანი | ტორპედო |

გუნდი: ტორპედო

მწვრთნელი: ოთარ გაბელია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 31 | 20 | 4 | 7 | 64:27 | 64 |
| ტორპედო | 31 | 16 | 10 | 5 | 49:26 | 58 |
| თბილისი | 31 | 17 | 6 | 8 | 51:35 | 57 |
| ლოკომოტივი | 31 | 14 | 13 | 4 | 36:19 | 55 |
| ზესტაფონი | 31 | 14 | 4 | 13 | 32:42 | 46 |
| ვიტ ჯორჯია | 31 | 12 | 9 | 10 | 49:33 | 45 |
| ბათუმი | 31 | 8 | 12 | 11 | 32:26 | 36 |
| სიონი | 31 | 9 | 4 | 18 | 28:52 | 31 |
| კოლხეთი | 31 | 8 | 5 | 18 | 26:48 | 29 |
| დილა | 31 | 2 | 3 | 26 | 16:75 | 9 |

### მომდევნო ტური

8 მაისი, კვირა

ლოკომოტივი – კოლხეთი

ტორპედო – დილა

ზესტაფონი – დინამო

თბილისი – ბათუმი

ვიტ ჯორჯია – სიონი

| სტადიონი | მატჩი | მინდვრის მდგომარეობა | ორგანიზაცია | დასწრება | საშუალო ბალი |
|---|---|---|---|---|---|
| „ეროვნული“. თბილისი | დინამო 1:2 ტორპედო | 6,0 | 8,5 | 5,0 | 6,5 |
| „თამაზ სტეფანია“. ბოლნისი | სიონი 0:1 ლოკომოტივი | 6,5 | 6,0 | 6,5 | 6,3 |
| „თენგიზ ბურჯანაძე“. გორი | დილა 0:1 თბილისი | 6,0 | 6,0 | 3,0 | 5,0 |
| „დინამო“. ბათუმი | ბათუმი 0:0 ვიტ ჯორჯია | 5,5 | 6,0 | 2,5 | 4,6 |
| „ფაზისი“. ფოთი | კოლხეთი 1:0 ზესტაფონი | 6,0 | 5,0 | 2,5 | 4,5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 22-მელქაძე | დინამო |
| 19-მეგრელაძე | ტორპედო |
| 12-ოდიკაძე | თბილისი / დინამო |
| 11-მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 10-ბობოხიძე | ლოკომოტივი |
| 9-დვალი | დინამო |
| ფიფია | თბილისი |
| 8-მერებაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| იაშვილი | თბილისი |
| ზირაქიშვილი | ზესტაფონი |

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

## ნესტამ კალაძე შეავიწროვა

## მილანი ერთადერთია



ეინდჰოვენელებს ანდრეი შევჩენკო დღესაც, რა თქმა უნდა, შეაწუხებს

**მილანელი** ანდრეი შევჩენკო სწორედ რომ დროულად დაუბრუნდა მოედანს ტრავმის მერე — ერთი კვირის წინ „პსვ ეინდჰოვენი“ პირველმა მან დაჭრა, ამ უქმეებზე კი „ფიორენტინას“ გაუტანა ორი გოლი, რითაც „მილანს“ სერია A-ში ლიდერობა შეუნარჩუნა. ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ მომდევნო უქმეებზე „სანს სიროზე“ საამსეზონო სერიას მთავარი თამაში ჩატარდება „მილანსა“ და „იუვენტუსს“ შორის, თუმცა ჩვენი თხრობის საგანი ამჯერად ეს არ არის.

იმაზე მოგახსენებთ, რომ დღეს ეინდჰოვენში, „ფილიპსზე“, ჩემპიონთა ლიგის მეორე ფინალისტის ვინაობა უნდა გაირკვეს.

გულშემატკივართა უმრავლესობა — ვინძლო მათგან ბევრი ჰოლანდიელიც იყოს — თვლის, რომ „მილანი“ უკვე ფინალშია. ალბათ, უფრო სწორი იქნება, თუ ასე ვიტყვით: „მილანი“ ჯერჯერობით მხოლოდ ცალი ფეხითაა ფინალში, ვინაიდან, რომ პსვ-ს 0:2-ს სათავისოდ შებრუნების გამოცდილება აქვს: 1976 წელს ჰოლანდიელებს ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში სპლიტის „ჰაიდუკთან“ პირველი მატჩი 0:2 ჰქონდათ წაგებული, საპასუხოში კი 3:0 მოიგეს და ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც ფრანგულ „სენტ ეტიენთან“ დამარცხდნენ. 1984-ში კი, უეფას თასის პირველ რაუნდში იგივე ანგარიშებით ითამაშა აღმოსავლეთ გერმანულ „ფორვარდსთან“.

მაგრამ ამ ძველ ამბებს რომ ვიხსენებთ, ცხადია, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არც „ჰაიდუკია“ „მილანის“ დარი გუნდი და მით უმეტეს, არც „ფორვარდსი“. „მილანი“, ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონთა თასის ექვსგზის მფლობელია, პსვ-მ კი ერთხელ, 1988-ში მოიგო მთავარი საკლუბო ჯილდო.

რაკი ძველი ამბები გავიხსენეთ, ისიც აღვნიშნოთ, რომ „მილანი“ ერთადერთი იტალიური გუნდია ეინდჰოვენში რომ უმარჯვია — ეს 1992-93 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგაში მოხდა. მაშინ „მილანმა“ პსვ-ს სტუმრად 2:1 მოუგო, მერე ფინალშიც გავიდა და „მარსელთან“ დამარცხდა.

სტატისტიკაზე ლაპარაკი გავაგრძელოთ და რამდენიმე საინტერესო ფაქტიც გავიხსენოთ:

— პსვ-ს, რომელსაც ფინალში გასასვლელად სულ მცირე, ორი გოლის გატანა სჭირდება, საამსეზონო ლიგის ხუთ საშინაო მატჩში ერთ გოლზე მეტი მხოლოდ ერთხელ აქვს გატანილი;

— ჰოლანდიელებს იტალიურ გუნდებთან წინა ხუთი საშინაო შეხვედრიდან ოთხი მოგებული აქვთ, ის ერთი კი, როგორც მოგახსენეთ, სწორედ „მილანთან“ წააგეს;

ეინდჰოვენი. „ფილიპსი“. მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია). 22.45

### პსვ — მილანი (0:2)

### სავარაუდო შემადგენლობები

**პსვ**

1 გომესი

30 ბოგელუნდი, 4 ალექსი, 5 ბუმა, 3 ი. ლი

14 ფოგელი

6 ვან ბომელი, 8 კოკუ

17 ფარფანი, 7 პარკი

9 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

**მილანი**

1 დიდა

2 კაფუ, 13 ნესტა, 31 სტამი, 3 მალდინი

21 პირლო

8 გატუზო, 20 ზეედორფი

22 კაკა

7 შევჩენკო, 11 კრესპო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

| დისკვალიფიცირებულნი | |
|---|---|
| ანდრე ოიერი (1 მატჩი) | არავინ |

| ტრავმირებულნი | |
|---|---|
| ჯონ დე იონგი, რობერტი, დამარკუს ბისლი | არავინ |



დისკვალიფიკაციამოხდილი ალესანდრო ნესტა დაცვაში ჩვეულ ადგილს დაიკავებს

— პსვ-ს აქამდე ხუთჯერ უთამაშია ნახევარფინალში, რომელთაგან მხოლოდ ერთხელ მოახერხა ფინალში გასვლა. ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში პსვ-ს აქამდე მხოლოდ ერთი გოლი აქვს გატანილი;

— „მილანი“ მეათედ თამაშობს ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში, წინა ცხრა ნახევარფინალიდან რვაჯერ მილანელები გამარჯვებულები გამოვიდნენ, ერთადერთხელ კი თავიანთ პირველ ნახევარფინალში დამარცხდნენ: „რეალს“ შინ 2:1 მოუგეს, სტუმრად კი 2:4 წააგეს;

— „მილანს“ ჩემპიონთა ლიგის წინა შვიდ შეხვედრაში გოლი არ გაუშვია;

უშუალოდ დღევანდელ მატჩზე კი პირველ რიგში ის ვთქვათ, რითაც დავიწყეთ — ეინდჰოვენელთა მცველებს დიდი ბრძოლა გადახდებათ. დალხინებულები არც მასპინძელი ფორვარდები იქნებიან, რაკი მილანელთა დაცვის ცენტრში სასჯელმოხდილი ალესანდრო ნესტა ბრუნდება.

ნესტას დაბრუნება დაცვის ხაზში, ბუნებრივია, გადაადგილებას გამოიწვევს და სავარაუდოდ ცვლილებას კახა კალაძე შეეწირება ანუ ნესტას არყოფნაში მის ადგილს პაოლო მალდინი იჭერდა, ახლა კი კაპიტანი მარცხენა ფლანგზე გადავა და კალაძის ადგილზე ითამაშებს. ნესტას დაბრუნება იმასაც ნიშნავს, რომ „მილანს“ საამმატჩოდ არც დისკვალიფიცირებული ჰყავს ვინმე და არც დაშავებული.

დაცვაში თუ ყველაფერი ფაქტობრივად, გარკვეულია, იტალიელთა ნახევარდაცვაში და თავდასხმაში კითხვები ჯერაც დარჩენილა და ალბათ, ბოლო წუთამდე ვერც შევიტყობთ, კარლო ანჩელოტი ოთხი ნახევარმცველით და ორი ფორვარდით ითამაშებს, თუ ხუთი ნახევარმცველით და ერთი თავდამსხმელით. ეს იმაზეა დამოკიდებული, შემადგენლობაში ერნან კრესპო იქნება თუ მანუელ რუი კოშტა.

პსვ-ს მდგომარეობას, ანგარიშში ორი ბურთით ჩამორჩენის გარდა, სხვა გარემოებანიც ამძიმებენ — მცველი ანდრე ოიერი დისკვალიფიცირებულია, დამარკუს ბისლის, ჯონ დე იონგსა და რობერტს ტრავმები სტანჯავთ. არადა, თუ გახსოვთ, ერთი კვირის წინ ამერიკელი ბისლი რამდენიმე სახიფათო დარტყმით გამოირჩა.

ერთი კვირის წინ, კარგი საგოლე მომენტები პერუელ ჯეფერსონ ფარფანსაც ჰქონდა, რომელიც კოჭს იტკიებს, თუმცა მცირე ტრავმა მის თამაშს არ გამორიცხავს. მცირე ტრავმა აწუხებს ვილფრედ ბუმასაც.

**ირაკლი ნინიძე**

# რა მოხდა ჩემპიონის გასახდელში?

## პრემიერლიგა ჩელსიმ მოიგო



ლონდონელთა სიხარული უზომოა — „ჩელსიმ“ ჩემპიონობა ორი ტურით ადრე დაიბევა

**„ჩელსი“** ინგლისის ჩემპიონია — ორმოცდაათწლიანი ლოდინის შემდეგ ლონდონური კლუბი ოქროს კვლავ შესწვდა. ბოლტონში, „რივერსაიდ სტედიუმზე“, „ჩელსიმ“ ფრენკ ლამპარდის წყვილი გოლით მასპინძლები დაამარცხა და „არსენალისგან“ მიუწვდომელი გახდა.

ეს იმას ნიშნავს, რომ რომან აბრამოვიჩის ფულმა და ჟოზე მაურინიუს ნიჭმა ერთ სეზონში „იბარტყა“. 2003-2004 წლებში რუსი მილიარდელისა და კლაუდიო რანიერის კავშირმა არ გაამართლა, „ჩელსიმ“ ვერაფერი მოიგო. ამჯერად კი აბრამოვიჩ-მაურინიუს „ნაწარმს“ გაცილებით უკეთესი შედეგები აქვს.

ჯერ კიდევ თებერვალში „ჩელსიმ“ ლიგის თასის ფინალში „ლივერპულს“ სძლია, ახლა კი პრემიერლიგის ჩემპიონობაც გაინაღდა. რომან აბრამოვიჩმა კლუბის შეძენის დღიდან 380 მილიონი დოლარი „გაისროლა“ და აგერ, მონაგარიც. ეს გამარჯვება მით უფრო სასიხარულოა ჩელსელებისთვის, რომ წლეულს ისინი დაარსებიდან საუკუნოვან იუბილეს აღნიშნავენ.

„ბოლტონთან“ მატჩის პირველი, უგოლო ტაიმის შემდეგ ჟოზე მაურინიუმ გასახდელში ფეხბურთელებს უთხრა: „მიეცით მაისურა სტივ კლარკს და ის თქვენზე უკეთესად ითამაშებს“. კლარკი მაურინიუს თანაშემწეა, „ჩელსი“ კი შესვენებამდე უგულოდ ირჯებოდა, რამაც პორტუგალიელი თავკაცი გააცოფა, ხოლო ნამატჩევს ჯონ ტერიმ თქვა, ასეთი გაშმაგებული მწვრთნელი აქამდე არასდროს მენახაო.

„ჩელსი“ განსაკუთრებული გუნდია — განაცხადა პორტუგალიელმა — ეს გამარჯვება ბიჭებმა ალალად დაიმსახურეს. მე მსურს, რომ ამ კლუბში, რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე, ჩემი გული აქაა. გასული წლის ივლისში, სხვადასხვა ქვეყნის შვილები ;„ჩელსიში“ შეიკრიბნენ და უდიდესი სამუშაო გასწიეს, რათა ასეთი გუნდი აეშენებინათ. როდესაც ვთამაშობთ, ერთად ვთამაშობთ. როდესაც ვიბრძვით, ერთად ვიბრძვით. ხოლო როდესაც ვწუხვართ, ერთად ვწუხვართ. ყველაფერი საერთო გვაქვს“.

ბოლტონში „ჩელსის“ დაახლოებით 3 000 ფანი გაჰყვა. თამაშის შემდეგ ისინი ტრიბუნაზე კარგა ხანს ისხდნენ და მღეროდნენ, რომ „ფრენკ ლამპარდი ერთადერთია“. ლამპარდმა და ჯონ ტერიმ თავთავისი მაისურები ქომაგებში ისროლეს. შემდეგ „ჩელსის“ ფეხბურთელებს რომან აბრამოვიჩიც შეუერთდა და მოთამაშეებმაც პატრონთან ერთად სიმღერებს უსმინეს.

„გულშემატკივრებმა დიდებულად გვიქომაგეს“ — თქვა ლამპარდმა, რომელმაც ამ სეზონში უკვე 18 გოლი მიითვალა, ხოლო ჯონ ტერიმ აღნიშნა: „ჟოზე ფანტასტიკური მწვრთნელია“.

„ჩელსის“ აღმასრულებელი დირექტორ პიტერ კინონი: „სრულიად დამსახურებული გამარჯვება. ბრწყინვალე სეზონი გვქონდა და გვსურს, რომ გაისად ეს ჯილდო შევინარჩუნოთ. ჩვენი მიზანია, „ჩელსი“ ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ იქცეს, საამისოდ კი ტიტულები გვჭირდება. თავიდანვე გვინდოდა, რომ ჟოზე მაურინიუს კლუბთან ათწლიანი კონტრაქტი გაეფორმებინა, რადგან ის განსაკუთრებული მწვრთნელია და ეს ახლა დაამტკიცა. იმ დღიდანვე, როგორც კი პირველად მოვიდა და ფეხბურთელებს ესაუბრა, მივხვდით, რომ ის დიად გუნდს გააკეთებდა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჯილარდინოს პოკერმა იტალია გაახელა



**იტალიის** ნაკრებისა და „პარმას“ ახალგაზრდა თავდამსხმელ ალბერტო ჯილარდინოს გარშემო ატეხილი აურზაური და გაურკვევლობა გრძელდება. მართალია, თავად ფეხბურთელმა უკვე აღნიშნა, „მილანში“ სიამოვნებით გადავიდოდიო, მაგრამ ისიც დაამატა, ჯერ არაფერია გადაწყვეტილი და ნუ ვიჩქარებთო.

ამასობაში, 23 წლის ფორვარდისთვის ბრძოლაში მეორე მილანური კლუბი, „ინტერიც“ ჩაერთო. „ნერაძურის“ უფროსობა ადრიანოსთვის ღირსეულ მეწყვილეს ეძებს, კრისტიან ვიერი უკვე დაგვიბერდაო.

მოგეხსენებათ, სერია A-ს გასულ ტურში, „პარმამ“ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა, „ლივორნო“ 6:4 დაამარცხა. ამ მატჩში ჯილარდინომ პოკერი გააზერხა ანუ ოთხი გოლი გაიტანა და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში რომაელ ვინჩენცო მონტელას დაეწია. და, რა გასაკვირია, ამის შემდეგ ახალგაზრდა თავდამსხმელის გარშემო მითქმა-მოთქმა რომ უფრო გაცხოველდა.

ალბერტო ჯილარდინო: „ერთხელაც ვიმეორებ, რომ ახლა მხოლოდ „პარმაზე“ ვფიქრობ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა გუნდში არ გადავალ. უბრალოდ, ამჟამად ამაზე ლაპარაკის დრო არ არის. ყველაფერი საბოლოოდ მაისის მერე გაირკვევა. „მილანზე“ კი მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ დიდებული გუნდია და მის რიგებში თამაშზე ყველა ოცნებებს. ბუნებრივია, „სან სიროზე“ მეც სიამოვნებით ვიბურთავებდი“.

ამის შემდეგ ჟურნალისტებმა მადრიდის „რეალიც“ გაიხსენეს. როგორც იცით, „პარმას“ ყოფილ და „სამეფო კლუბის“ ამჟამინდელ სპორტულ დირექტორ არიგო საკის ჯილარდინოს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადაყვანა ძალიან უნდა.

„არიგო საკი კარგად მიცნობს და ვფიქრობ, ძალიან მაფასებს, როგორც ფეხბურთელს. რასაკვირველია, „რეალში“ გადასვლაზე უარის თქმა ძნელია, მაგრამ ჯერ ოფიციალური წინადადება არც მიმიღია. ამიტომ არ ღირს წინასწარ რამეზე საუბარი. თუ არჩევანის წინაშე დავდექი, ალბათ სამშობლოში დარჩენას ვამჯობინებ“ — განმარტა ჯილარდინომ.

„პარმას“ ვარსკვლავი გასულ ზაფხულსაც გრანდების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე იყო, მაგრამ იგი მოულოდნელად „ენიო ტარდინიზე“ დარჩა. ბოლო მომენტში ჯილარდინოს შეძენასთან ყველაზე ახლოს „რომა“ გახლდათ. დედაქალაქელებს მისი კასანოტოტის დუეტთან შერწყმა და სუპერშემტევი ტრიოს შექმნა უნდოდათ, მაგრამ ტრანსფერისთვის ფული აღარ ეყოთ.

„იმედი მაქვს, ამ ტრიოს ეროვნულ გუნდში ვიხილავთ. კასანო და ტოტი ჩინებული მოთამაშეები არიან, მათ გვერდით თამაში ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქნება. თუმც, „რომაში“ ჩემი გადასვლა ნაკლებ სავარაუდოა“ — დასძინა ფეხბურთელმა.

ზემოთაც გითხარით, რომ თავისას ცდილობს „ინტერიც“. „შავ-ლურჯთა“ უფროსობამ კიდევ ერთხელ განაცხადა, ადრიანოს გაყიდვას არ ვაპირებთ, 70 მილიონი მართლაც რომ შემოგვთავაზონო. პირიქით, გუნდის გაძლიერებაზე ვფიქრობთო.

„მისთვის ძლიერი მეწყვილის შეძენაზე ვფიქრობთ და, არ დაგიმალავთ, ჯილარდინო ერთ-ერთი კანდიდატია. ალბერტო ჩინებული ფორვარდია და კარგი იქნება, თუ მის გადაბირებას შევძლებთ“ — განაცხადა „ინტერის“ თავკაცმა რობერტო მანჩინიმ.

**გიორგი ძაძამაძე**



ბაიერნელმა ჰასან სალიჰამიჯიჩმა ბუნდესჩემპიონობა თანაგუნდელთა ცოლებთან აღნიშნა

# ქეიფი ინგლისურ ბაღში

**მიუნხენის** „ბაიერნმა“ შაბათს ბუნდესლიგა მეცხრამეტედ, ბოლო შვიდ წელიწადში კი მეხუთედ მოიგო. ფელიქს მაგათი მესამე მწვრთნელია ბრანკო ცებეკისა (1968/1969) და ფრანც ბეკენბაუერის (1993/94) შემდეგ, რომელმაც სადებიუტო სეზონშივე ჩემპიონობას მიაღწია.

კაიზერსლაუტერნში, „ფრიც ვალტერშტადიონზე“, მიუნხენელებმა ოთხი უპასუხო გოლი „მიართვეს“ მასპინძლებს და აქედან სამი როი მაკაიმ მიითვალა. ჰოლანდიელმა ფორვარდმა სეზონში მეორე ჰეთ თრიქი შეასრულა. აღსანიშნავია ისიც, რომ „ბაიერნის“ კარში ოლივერ კანის ნაცვლად მიხაელ რენსინგი იდგა.

ფელიქს მაგათმა ნამატჩევს თქვა, ბუნდესლიგის მოგებაზე მას შემდეგ ვოცნებობდი, რაც მწვრთნელობა დავიწყეო.

„ახლა ჩემი ოცნება ახდა — ხარობდა მაგათი — შარშანწინ, „შტუტგარტში“ მუშაობისას ეს ვერ შევძელი, აქ კი, მიუნხენის „ბაიერნში“ საამისოდ ყველა პირობა არსებობს და მიხარია, რომ როგორც მწვრთნელი უფრო მაღალ საფეხურზე ავედი. „ბაიერნმა“ ჩემი საფეხბურთო ფილოსოფია კარგად შეითვისა და მეც ბევრი რამ ვისწავლე და შევცვალე. ეს მხოლოდ დასაწყისია, მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგის მოგება მსურს“.

„ბაიერნის“ მენეჯერი ული ჰიონესი: „ჩემპიონის ტიტული — ნიშნავს, რომ კარგად ვიშრომეთ. ვალდებულები ვიყავით, „ვერდერისთვის“ ბუნდესსასალათე წაგვერთმია. კლუბის 120-ივე თანამშრომელი, ტელეფონისტიდან დაწყებული, სტადიონის დირექტორით დამთავრებული, პრემიას აუცილებლად მიიღებს. ეს მათი დამსახურებაცაა“.

მიხაელ ბალაკმა, რომელიც კანის არყოფნაში გუნდს კაპიტნობდა, განაცხადა: „ბრწყინვალედ ვითამაშეთ და მთლიანობაში ჩემპიონობაც ალალად გვერგო. რთული იყო ჩვენთვის, როცა „შალკე“ ფეხდაფეხ მოგვდევდა, მაგრამ მაინცში წაგების შემდეგ გონს ველარ მოეგო“.

ჰეთ თრიქის ავტორი როი მაკაი: „აქამდე ჩემპიონობა მხოლოდ ერთხელ, ესპანეთში ვიგემე, როცა „დეპორტივოში“ ვთამაშობდი და ჩვენი გამარჯვება ყველასთვის მოულოდნელი გამოდგა. აქ, „ბაიერნში“, მოულოდნელობა ის იქნება, ჩემპიონი რომ ვერ გავხდე“.

მეჰმეთ შოლი: „ესაა ჯილდო დიდი შრომის სანაცვლოდ. სეზონის განმავლობაში მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის გაუგებრობა ხდებოდა, მაგრამ ყველაფერი მოგვარდა. მწვრთნელმა იცის, ვინაა, რა შეუძლია და რას აკეთებს. სწორედ ეს გამოჩნდა მეორე წრეში“.

ნამატჩევს „ბაიერნს“ მიუნხენში ქომაგთა არმია დახვდა და ფეხბურთელები ინგლისურ ბაღში მდებარე რესტორანში გაემგზავრნენ. რესტორანი თურმე ული ჰიონესს, ჯერ კიდევ „კაიზერსლაუტერნთან“ თამაშამდე შეუკვეთია, გული უგრძნობდა, რომ გუნდი მიუნხენში ჩემპიონად დაბრუნდებოდა. მიხაელ ბალაკს კი ფელიქს მაგათი და რამდენიმე თანაგუნდელი შამპანურით გაუწუწავს, რალა თქმა უნდა, ზღვა ლუდიც დაილეოდა, ბაიერნელებს კი ხუთშაბათამდე დასვენების უფლება მისცეს.

**ვაჟა ხუციშვილი**




ჯონ ტერიმ და ფრენკ ლამპარდმა რომან აბრამოვიჩის დანახარჯი თანაგუნდელებთან ერთად გაამართლეს

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXXVI ტური

**ტოტენჰემი 5:1 ასტონ ვილა**

1:0 კანუტი (6), 2:0 კინგი (19), 3:0 კანუტი (27), 3:1 ბერი (45პ), 4:1 ე. რიდი (67), 5:1 ს. კელი (90).

**ჩარლტონი 0:4 მანჩესტერი**

0:1 სქოულზი (34), 0:2 ფლეტჩერი (44), 0:3 ა. სმიტი (62), 0:4 რუნი (67)

**ნიუკასლი 0:0 კრ. პალასი**

**მანჩესტერ სიტი 2:0 პორტსმუთი**

1:0 დისტინი (4), 2:0 ფაულერი (16)

**ბირმინგემი 2:1 ბლექბერნი**

0:1 სტიდი (13), 1:1 რ. ბლეიქი (61), 2:1 პესკი (80)

**ბოლტონი 0:2 ჩელსი**

0:1, 0:2 ლამპარდი (60, 76)

**ფულემი 2:0 ევერტონი**

1:0 კ. ჯონი (15), 2:0 ბ. მაკბრაიდი (39)

**ლივერპული 1:1 მიდლსბრო**

0:1 ნემეტი (4), 1:1 ჯერარდი (52)

**საუთჰემპტონი 4:3 ნორვიჩი**

0:1 ბენტლი (3), 1:1 ოკლი (7), 2:1 კრუჩი (20), 2:2 ჰიგინბოთემი (31ს.კ.), 3:2 ლე სო (39), 3:3 მაკკენზი (45), 4:3 ა. კამარა (88)

**ვესტ ბრომვიჩი 0:2 არსენალი**

0:1 ვან პერსი (66), 0:2 ედუ (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 35 | 27 | 7 | 1 | 67:13 | 88 |
| არსენალი | 35 | 23 | 8 | 4 | 76:33 | 77 |
| მანჩესტერი | 35 | 21 | 10 | 4 | 54:21 | 73 |
| ევერტონი | 35 | 17 | 7 | 11 | 41:36 | 58 |
| ლივერპული | 36 | 16 | 7 | 13 | 49:37 | 55 |
| ბოლტონი | 36 | 15 | 9 | 12 | 45:41 | 54 |
| ტოტენჰემი | 36 | 14 | 9 | 13 | 47:40 | 51 |
| მიდლსბრო | 36 | 13 | 12 | 11 | 51:45 | 51 |
| სიტი | 36 | 12 | 12 | 12 | 44:37 | 48 |
| ასტონ ვილა | 36 | 12 | 11 | 13 | 43:48 | 47 |
| ჩარლტონი | 36 | 12 | 9 | 15 | 40:55 | 45 |
| ბირმინგემი | 36 | 10 | 12 | 14 | 38:44 | 42 |
| ბლექბერნი | 36 | 9 | 14 | 13 | 31:40 | 41 |
| ნიუკასლი | 35 | 9 | 13 | 13 | 43:53 | 40 |
| ფულემი | 35 | 10 | 8 | 17 | 42:56 | 38 |
| პორტსმუთი | 36 | 10 | 8 | 18 | 42:56 | 38 |
| საუთჰემპტონი | 36 | 6 | 13 | 17 | 42:62 | 31 |
| კრ. პალასი | 36 | 7 | 10 | 19 | 37:58 | 31 |
| ვესტ ბრომვიჩი | 36 | 5 | 15 | 16 | 33:60 | 30 |
| ნორვიჩი | 36 | 6 | 12 | 18 | 41:71 | 30 |

### ჩემპიონატი. XLV ტური

**ლესტერი 2:0 ლიდსი**

1:0 დაბლინი (6), 2:0 კონოლი (39)

**ბარნლი 2:0 პლიმუთი**

1:0 ვალო (87პ), 2:0 ოკონორი (90)

**ქოვენთრი 6:2 დერბი**

1:0, 2:0 მაკშეფრი (20, 29პ), 3:0 ადებოლა (37), 4:0 ს. ჯონი (40), 4:1 ბოლდერი (51), 5:1 ს. ჯონი (55), 5:2 პეშისოლიდო (63), 6:2 უინგი (68)

**ჯილინგემი 1:1 კარდიფი**

1:0 ჯერვისი (72), 1:1 პერი (85)

**იფსვიჩი 5:1 ქრიუ**

1:0 კუქი (6), 2:0 მეჯილტონი (12), 3:0, 4:0 მილერი (51, 81), 5:0 კუნაგო (82), 5:1 ვუგანი (90)

**პრესტონი 1:1 უიგანი**

0:1 მაკკალოხი (24), 1:1 ონილი (41)

**ქუინზ პარკი 2:1 ნოტინგემი**

1:0 კერტისი (45ს.კ.), 2:0 ბირჩემი (51), 2:1 ბოპი (77)

**რედინგი 1:2 ვულვერჰემპტონი**

1:0 ფორსტერი (8), 1:1 კლარკი (53), 1:2 რიკეტსი (84)

**როტერჰემი 0:1 ბრაიტონი**

0:1 მაკლარენი (19ს.კ.)

**შეფილდი 0:1 მილუოლი**

0:1 მორისი (5)

**სტოკი 0:1 უოტფორდი**

0:1 ფერგუსონი (51)

**ვესტ ჰემი 1:2 სანდერლენდი**

1:0 შერვუდი (43), 1:1 არკა (52), 1:2 ელიოტი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 45 | 28 | 7 | 10 | 75:41 | 91 |
| უიგანი | 45 | 24 | 12 | 9 | 76:34 | 84 |
| იფსვიჩი | 45 | 24 | 12 | 9 | 84:55 | 84 |
| პრესტონი | 45 | 21 | 12 | 12 | 66:55 | 75 |
| დერბი | 45 | 21 | 10 | 14 | 68:59 | 73 |
| ვესტ ჰემი | 45 | 20 | 10 | 15 | 64:55 | 70 |
| რედინგი | 45 | 19 | 13 | 13 | 50:41 | 70 |
| შეფილდი | 45 | 18 | 13 | 14 | 55:52 | 67 |
| მილუოლი | 45 | 18 | 11 | 16 | 51:45 | 65 |
| ვულვზი | 45 | 14 | 21 | 10 | 68:57 | 63 |
| ქუინზ პარკი | 45 | 17 | 11 | 17 | 54:57 | 62 |
| სტოკი | 45 | 17 | 10 | 18 | 36:37 | 61 |
| ბარნლი | 45 | 15 | 14 | 16 | 38:39 | 59 |
| ლიდსი | 45 | 14 | 17 | 14 | 49:52 | 59 |
| ლესტერი | 45 | 12 | 20 | 13 | 49:46 | 56 |
| უოტფორდი | 45 | 12 | 16 | 17 | 51:57 | 52 |
| ქოვენთრი | 45 | 13 | 13 | 19 | 60:71 | 52 |
| პლიმუთი | 45 | 14 | 10 | 21 | 52:64 | 52 |
| კარდიფი | 45 | 12 | 15 | 18 | 47:51 | 51 |
| ბრაიტონი | 45 | 13 | 11 | 21 | 39:64 | 50 |
| ჯილინგემი | 45 | 12 | 13 | 20 | 43:64 | 49 |
| ქრიუ | 45 | 11 | 14 | 20 | 64:85 | 47 |
| ნოტინგემი | 45 | 9 | 16 | 20 | 40:64 | 43 |
| როტერჰემი | 45 | 5 | 13 | 27 | 35:69 | 28 |

### პირველი ლიგა. XLV ტური

ტრანმერი — პორტ ვეილი 1:0; ბარნსლი — კოლჩესტერი 1:1; ბრედფორდი — ბორნმუთი 4:2; ბრისტოლი — დონკასტერი 2:2; ჩესტერფილდი — ოლდემი 1:0; ჰარტლპული — უოლსოლი 1:3; ჰადერსფილდი — სუინდონი 4:0; ჰალი — უენსდი 1:2; ლუტონი — ბრენტფორდი 4:2; პიტერბრო — დონსი 0:3; სტოკპორტი — რექსემი 1:4; ტორკი — ბლეკპული 2:0

### მეორე ლიგა. XLV ტური

ჩელტენემი — მაკლსფილდი 3:0; ჩესტერი — ნორთჰემპტონი 0:2; კიდერმინსტერი — გრიმსბი 1:4; ლინკოლნი — დარლინგტონი 0:0; მენსფილდი — ბოსტონი 3:2; ნოტსი — ბერი 0:1; როჩდეილი — ოქსფორდი 5:1; რაშდენი — კემბრიჯი 0:1; სკანთორპი — როვერსი 4:0; საუთენდი — იოვილი 0:1; სუონსი — შრიუსბერი 1:0; უიკომბი — ლეიტონი 3:2

## იტალია

### სერია A. XXXIV ტური

**მესინა 2:2 სამპდორია**

0:1 ფლაკი (27), 1:1, 2:1 ძამპანა (31, 60), 2:2 ვოლპი (75)

**იუვენტუსი 2:1 ბოლონია**

1:0 ფ. კანავარო (18), 2:0 ზალაიეტა (24), 2:1 ჯუნტი (27)

**პალერმო 2:2 კიევო**

0:1 პელისიერი (10), 1:1 ტონი (18), 2:1 ძაული (28), 2:2 სემიოლი (56)

**ინტერი 2:0 სიენა**

1:0 ხ. კრუზი (23), 2:0 ვიერი (31)

**პარმა 6:4 ლივორნო**

1:0 ჯილარდინო (3), 1:1, 1:2 კ. ლუკარელი (22, 25), 2:2 პიზანუ (26), 3:2 ჯილარდინო (37), 4:2 სიმპლისიო (47), 4:3 კ. ლუკარელი (58პ), 5:3 ჯილარდინო (72), 5:4 კ. ლუკარელი (74), 6:4 ჯილარდინო (85)

**ლეჩე 5:3 ლაციო**

1:0 დალა ბონა (63), 1:1 როკი (30), 2:1 ვუჩინიჩი (45), 2:2, 2:3 როკი (52, 58), 3:3 დიამუტენე (71), 4:3, 5:3 ვუჩინიჩი (78, 82)

**რომა 2:2 ბრეშა**

1:0 პეროტა (1), 1:1 ვომე (49), 2:1 დე როსი (76), 2:2 კარაჩოლო (79)

**უდინეზე 2:1 ატალანტა**

1:0 მაური (2), 1:1 ლაცარი (3), 2:1 იაკინტა (37)

**ფიორენტინა 1:2 მილანი**

1:0 მარესკა (25), 1:1, 1:2 შევჩენკო (46, 55)

**კალიარი 1:1 რეჯინა**

0:1 ჯ. კოლუჩი (36), 1:1 ბიანკი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 34 | 23 | 7 | 4 | 57:21 | 76 |
| იუვენტუსი | 34 | 23 | 7 | 4 | 58:23 | 76 |
| ინტერი | 34 | 15 | 17 | 2 | 60:37 | 62 |
| უდინეზე | 34 | 16 | 8 | 10 | 52:37 | 56 |
| სამპდორია | 34 | 16 | 8 | 10 | 38:27 | 56 |
| პალერმო | 34 | 12 | 13 | 9 | 41:37 | 49 |
| მესინა | 34 | 11 | 11 | 12 | 39:46 | 44 |
| ლივორნო | 34 | 11 | 10 | 13 | 43:50 | 43 |
| კალიარი | 34 | 10 | 12 | 12 | 47:53 | 42 |
| ლეჩე | 34 | 10 | 11 | 13 | 59:63 | 41 |
| ლაციო | 34 | 11 | 8 | 15 | 44:48 | 41 |
| ბოლონია | 34 | 9 | 13 | 12 | 31:32 | 40 |
| რომა | 34 | 10 | 10 | 14 | 53:56 | 40 |
| რეჯინა | 34 | 10 | 10 | 14 | 32:41 | 40 |
| პარმა | 34 | 9 | 10 | 15 | 43:59 | 37 |
| სიენა | 34 | 7 | 15 | 12 | 36:50 | 36 |
| კიევო | 34 | 9 | 9 | 16 | 29:47 | 36 |
| ბრეშა | 34 | 9 | 8 | 17 | 33:46 | 35 |
| ფიორენტინა | 34 | 7 | 13 | 14 | 36:48 | 34 |
| ატალანტა | 34 | 7 | 10 | 17 | 31:41 | 31 |

### სერია C1/A. XXXIV ტური

კომო — ნოვარა 2:0; გროსეტო — კრემონეზე 2:2; ლუმეცანე — პავია 0:0; მანტოვა — ს. ტორესი 3:0; პისტოიეზე — ფროზინონე 1:2; პრო პატრია — პრატო 2:1; სანჯოვანეზე — ლუკეზე 0:1; სპეცია — ფ. ანდრია 0:0; ვიტორია — აკირეალე 0:0

## საფრანგეთი

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩები

**მონაკო 2:0 ლილი**

1:0 სკილაჩი (65), 2:0 ადებაიორი (90)

**ოსერი 3:2 ტულუზი**

1:0 ჟაურე (25), 2:0 მვარუვარი (51), 2:1, 2:2 დ. სუარესი (56, 62), 3:2 მვარუვარი (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 34 | 19 | 12 | 3 | 48:19 | 69 |
| ლილი | 34 | 15 | 13 | 6 | 45:25 | 58 |
| მონაკო | 34 | 14 | 15 | 5 | 45:31 | 57 |
| მარსელი | 34 | 15 | 8 | 11 | 42:35 | 53 |
| რენი | 34 | 14 | 9 | 11 | 41:36 | 51 |
| ოსერი | 34 | 14 | 8 | 12 | 47:43 | 50 |
| პსჟ | 34 | 11 | 14 | 9 | 35:35 | 47 |
| 21:30 | 284 | აიაქსი-ვალვაიკი | 1.2 | 5.5 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.54 |
| | | 8 მაისი | | | | | | |
| 14:30 | 280 | ნაიმეგენი-ფეიენოორდი | 3.5 | 3.4 | 1.9 | 1.72 | 1.23 | 1.21 |
| 16:30 | 281 | 'უტრეხტი-ვიტესი | 2.3 | 3.5 | 2.6 | 1.38 | 1.22 | 1.49 |
| 16:30 | 282 | პსვ-გრააფსხაპი | 1.15 | 6.0 | 13.0 | 1.0 | 1.05 | 4.1 |
| 16:30 | 286 | გრონინგენი-როდა | 2.2 | 3.4 | 2.75 | 1.33 | 1.22 | 1.52 |
| 16:30 | 287 | დენ ჰააგი-ალკმაარი | 3.2 | 3.3 | 2.0 | 1.62 | 1.23 | 1.24 |

**სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 15:00 | 341 | ზენიტი-ტორპედო | 1.8 | 3.1 | 4.4 | 1.13 | 1.27 | 1.81 |
| | | პოლონეთი | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 346 | პოლონია-ამიკა | 2.45 | 3.1 | 2.6 | 1.36 | 1.26 | 1.41 |
| 20:30 | 347 | გურნიკი-ლეგია | 2.6 | 3.1 | 2.45 | 1.41 | 1.26 | 1.36 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 356 | ბრნო-სლავია | 2.8 | 3.0 | 2.25 | 1.44 | 1.24 | 1.28 |
| | | სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 18:30 | 368 | პეტრჟალკა-ჟილინა | 2.1 | 3.1 | 3.0 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 18:30 | 369 | პუხოვი-ტრნავა | 1.8 | 3.3 | 3.6 | 1.16 | 1.2 | 1.72 |
| | | უნგრეთი | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 376 | დებრეცენი-ტატაბანია | 1.3 | 4.4 | 7.5 | 1.0 | 1.1 | 2.77 |
| 20:00 | 377 | დიოშდიორი-კაპოშვარი | 1.85 | 3.2 | 3.6 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 20:00 | 378 | ფერენცვაროში-ბეკეშჩაბა | 1.25 | 5.2 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 3.15 |
| 20:00 | 379 | ეტო-ნირეგიჰაზა | 1.4 | 4.0 | 6.0 | 1.03 | 1.13 | 2.4 |
| 20:00 | 380 | ჰონვედი-ვაშაში | 1.9 | 3.1 | 3.5 | 1.17 | 1.23 | 1.64 |
| 20:00 | 381 | პეჩი-უიპეშტი | 3.2 | 3.1 | 2.0 | 1.57 | 1.23 | 1.21 |
| 20:00 | 382 | ვიდეოტონი-მტკ | 2.55 | 3.2 | 2.35 | 1.41 | 1.22 | 1.35 |
| 20:00 | 383 | ზალაეგერსეგი-სოპრონი | 1.9 | 3.1 | 3.5 | 1.17 | 1.23 | 1.64 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 407 | ჰამარი-ფრედრიკსტადი | 2.0 | 3.4 | 3.3 | 1.25 | 1.24 | 1.67 |
| 20:00 | 408 | მოლდე-ტრომსიო | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 20:00 | 409 | ოდ გრენლანდი-ლილესტრიომი | 2.15 | 3.3 | 3.0 | 1.3 | 1.25 | 1.57 |
| 20:00 | 410 | რუსენბორგი-სტარტი | 1.45 | 4.2 | 6.0 | 1.07 | 1.16 | 2.47 |
| 20:00 | 411 | ვოლერენგა-ალესუნდი | 1.35 | 5.0 | 6.5 | 1.06 | 1.11 | 2.82 |
| 20:00 | 412 | ვიკინგი-ლინი | 1.95 | 3.3 | 3.6 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 22:05 | 413 | ბრანი-ბოდიო გლიმტი | 1.55 | 3.8 | 5.0 | 1.1 | 1.18 | 2.15 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 421 | ფოლო-ალტა | 1.85 | 4.0 | 3.3 | 1.26 | 1.18 | 1.8 |
| 20:00 | 422 | ჰიოდი-ლოვ ჰამი | 1.7 | 4.0 | 3.8 | 1.19 | 1.17 | 1.94 |
| 20:00 | 423 | კონგსვინგერი-სკეიდი | 1.7 | 4.0 | 3.8 | 1.19 | 1.17 | 1.94 |
| 20:00 | 424 | მანდალი-სანდეფიორდი | 2.35 | 3.9 | 2.4 | 1.46 | 1.18 | 1.48 |
| 20:00 | 425 | მოსი-სტაბეკი | 2.85 | 4.0 | 2.0 | 1.66 | 1.17 | 1.33 |
| 20:00 | 426 | სოგნდალი-პორს გრენლანდი | 1.45 | 4.5 | 5.5 | 1.09 | 1.14 | 2.47 |
| 20:00 | 427 | სტრიომსგოდსეტი-ჰიონეფოსი | 1.9 | 4.0 | 3.0 | 1.28 | 1.16 | 1.71 |
| 20:00 | 428 | ტონსბერგი-ბრინი | 2.9 | 4.0 | 2.0 | 1.68 | 1.18 | 1.33 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 458 | ჰელსინკი-მარიეჰამნი | 1.55 | 3.5 | 5.5 | 1.07 | 1.2 | 2.13 |
| 20:00 | 459 | ალიანსი-როვანიემი | 1.4 | 3.6 | 7.3 | 1.0 | 1.17 | 2.41 |
| 20:00 | 460 | კტპ-ტპ 47 | 1.85 | 3.3 | 3.6 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 20:00 | 461 | კუოპიო-იარო | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 20:00 | 462 | მიუპა-ინტერი | 1.5 | 3.7 | 5.2 | 1.06 | 1.16 | 2.16 |
| 20:00 | 463 | ტამპერე-ლაჰტი | 1.95 | 3.3 | 3.2 | 1.22 | 1.21 | 1.62 |
| 20:00 | 464 | ტურკუ-ჰაკა | 3.3 | 3.3 | 2.0 | 1.64 | 1.24 | 1.24 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | იაპონია | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 9:00 | 472 | ივატა-გამბა | 2.2 | 3.0 | 3.0 | 1.26 | 1.26 | 1.5 |
| 9:00 | 473 | იოკოჰამა-შიმიცუ | 1.7 | 3.2 | 4.5 | 1.14 | 1.23 | 1.87 |
| 10:00 | 474 | ნიიგატა-კავასაკი | 2.35 | 3.1 | 2.6 | 1.33 | 1.23 | 1.41 |
| 10:00 | 475 | ჩერეძო-ვერდი | 2.3 | 3.0 | 2.9 | 1.3 | 1.28 | 1.47 |
| 11:00 | 476 | ტოკიო-კაშიმა | 2.95 | 3.1 | 2.2 | 1.51 | 1.26 | 1.28 |
| 11:00 | 477 | იჩიჰარა-ჰიროსიმა | 2.15 | 3.1 | 3.0 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 11:00 | 478 | ომია-კაშივა | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 11:00 | 479 | კობე-ურავა | 3.2 | 3.2 | 2.0 | 1.6 | 1.23 | 1.23 |
| 14:00 | 480 | ნაგოია-ოიტა | 1.65 | 3.2 | 4.7 | 1.08 | 1.22 | 1.9 |
| | | ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 535 | პსვ-მილანი | 2.6 | 3.1 | 2.6 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| | | უეფას თასი | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 20:45 | 536 | ცსკა-პარმა | 1.5 | 3.7 | 6.5 | 1.06 | 1.21 | 2.35 |
| 20:45 | 537 | ალკმაარი-სპორტინგი | 2.25 | 3.3 | 2.9 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| | | რუსეთი. თასი | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 16:00 | 538 | ამკარი-ხიმკი | 2.0 | 3.1 | 3.45 | 1.21 | 1.26 | 1.63 |
| | | დანია. თასი | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 539 | ბრიონდბიუ-მიდტიულანდი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| | | შვედეთი. თასი | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 540 | ასირისკა-გეფლე | 1.8 | 3.4 | 3.5 | 1.17 | 1.18 | 1.72 |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 15:30 | 541 | ჰალმსტადი-ბოდენსი | 1.1 | 6.5 | 14.0 | 1.0 | 1.01 | 4.43 |
| 21:00 | 542 | კალმარი-ჰამარბი | 2.25 | 3.3 | 2.7 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 16:30 | 544 | ტრელებორგი-აიკ | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 545 | ვესბი-იურგორდენი | 7.0 | 4.5 | 1.3 | 2.73 | 1.09 | 1.0 |
| 18:00 | 546 | იოსტერსი-ჰეკენი | 3.1 | 3.2 | 2.05 | 1.57 | 1.23 | 1.24 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 553 | ტასირა-პალმეირასი | 3.2 | 3.3 | 1.95 | 1.62 | 1.21 | 1.22 |
| 23:45 | 554 | პაჩუკა-სპორტინგ კრისტალი | 1.45 | 3.7 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 555 | ჩივასი-კობრელოა | 1.5 | 3.6 | 5.5 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 23:45 | 556 | სან ლორენსო-ონსე კალდასი | 3.1 | 3.4 | 1.95 | 1.62 | 1.19 | 1.23 |
| | | ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 18:15 | 608 | რუსეთი-ბელარუსი | 1.05 | 8.0 | 12.0 | 1.0 | 1.0 | 4.8 |
| 18:15 | 609 | დანია-უკრაინა | 2.8 | 4.4 | 1.75 | 1.71 | 1.07 | 1.25 |
| 22:15 | 610 | შვედეთი-ფინეთი | 1.75 | 4.5 | 2.7 | 1.25 | 1.06 | 1.68 |
| 22:15 | 611 | ავსტრია-სლოვაკეთი | 8.0 | 6.0 | 1.15 | 3.42 | 1.0 | 1.0 |
| | | ჩოგბურთი. კაცები რომი გრუნტი | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 13:00 | 682 | აგასი-გასკე | 2.1 | 1.6 | | | | |
| 13:00 | 683 | ფერერი-იოჰანსონი ტ | 1.35 | 2.85 | | | | |
| 13:00 | 684 | ვერდასკო-ვავრინკა | 1.5 | 2.3 | | | | |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18535 | პსვ-მილანი | 10.0 | 1.02 |
| 18536 | ცსკა-პარმა | 1.3 | 3.0 |
| 18537 | ალკმაარი-სპორტინგი | 2.6 | 1.4 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13003 | ფულემი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 13535 | პსვ-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 13536 | ცსკა-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13537 | ალკმაარი-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12003 | ფულემი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 12535 | პსვ-მილანი | 1.6 | 2.0 |
| 12536 | ცსკა-პარმა | 1.6 | 2.0 |
| 12537 | ალკმაარი-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14003 | ფულემი-ნიუკასლი | 1.8 | 2.0 |
| 14535 | პსვ-მილანი | 1.9 | 1.9 |
| 14536 | ცსკა-პარმა | 1.3 | 2.9 |
| 14537 | ალკმაარი-სპორტინგი | 1.6 | 2.3 |

### ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17003 | ფულემი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17535 | პსვ-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17536 | ცსკა-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17537 | ალკმაარი-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |

### ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16003 | ფულემი-ნიუკასლი | 1.5 | 2.1 |
| 16535 | პსვ-მილანი | 1.8 | 1.8 |
| 16536 | ცსკა-პარმა | 1.15 | 3.5 |
| 16537 | ალკმაარი-სპორტინგი | 1.4 | 2.3 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15003 | ფულემი-ნიუკასლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15535 | პსვ-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15536 | ცსკა-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15537 | ალკმაარი-სპორტინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10003 | ფულემი-ნიუკასლი | 2.6 | 2.0 | 3.6 | 1.13 | 1.5 | 1.28 |
| 10535 | პსვ-მილანი | 2.9 | 2.0 | 3.2 | 1.18 | 1.52 | 1.23 |
| 10536 | ცსკა-პარმა | 1.8 | 2.1 | 5.5 | 1.0 | 1.35 | 1.51 |
| 10537 | ალკმაარი-სპორტინგი | 2.7 | 2.2 | 2.9 | 1.21 | 1.39 | 1.25 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11535 | პსვ-მილანი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11003 | ფულემი-ნიუკასლი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11536 | ცსკა-პარმა | 1.9 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11537 | ალკმაარი-სპორტინგი | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |

## NBA PLAY OFF 2005

# საქმე და სიტყვა
## დალასმა ჰიუსტონი დალახვრა

### აღმოსავლეთი

**მაიამი 4:0 ნიუ ჯერსი**

1 მაისი

**ნიუ ჯერსი 97:110 მაიამი**

**ნიუ ჯერსი:** კიდი (25), კარტერი (23 ქულა, 10 მოხსნა), ჯეფერსონი (17), კრსტიჩი (17)

**მაიამი:** ვეიდი (34), ე. ჯონსი (21), ონილი (17)

**ყველაფერი** უცებ და ძალიან მშრალად დასრულდა „ნიუ ჯერსი ნეთსისთვის“. ჯეისონ კიდმა, ვინს კარტერმა და მათმა თანამეინახეებმა თითქმის შეუძლებელი შეძლეს, სეზონის შუაში ცხრილის სიღრმეებში ჩაკარგულებმა იმდენი იომეს, რომ პლეი ოფში ლამის უკვე ადგილდაბევებული გუნდები გამოაგდეს და იქ თავად მოხვდნენ. მაგრამ რისთვის? პირველივე მეტოქესთან უიმედოდ რომ წაეგოთ და უსახელოდ დაესრულებინათ სეზონი. როგორც შემდეგ გაირკვა, სწორედ ამისათვის იკლავდნენ თავს.

რეგულარულ ჩემპიონატში აღმოსავლეთში საუკეთესო „მაიამი ჰითმა“ ფიორა შანსიც კი არ მისცა 2002 და 2003 წლების ვიცეჩემპიონებს — 4:0 გაანადგურა და მეორე წრეს უმტკივნეულოდ უწია.

**დეტროიტი 3:1 ფილადელფია**

29 აპრილი

**ფილადელფია 115:104 დეტროიტი**

**ფილადელფია:** აივერსონი (37 ქულა, 15 პასი), ვებერი (19), როჯერსი (15)

**დეტროიტი:** ბ. ვოლესი (29 ქულა, 16 მოხსნა), ჰამილტონი (24), პრინსი (19), ბილაფსი (15), რ. ვოლესი (15)

1 მაისი

**ფილადელფია 92:97 დეტროიტი**

ძირითადი დრო 83:83

**ფილადელფია:** აივერსონი (36), ვებერი (23)

**დეტროიტი:** ბილაფსი (25), ჰამილტონი (20), პრინსი (17), რ. ვოლესი (17), ბ. ვოლესი (12 ქულა, 12 მოხსნა)

**მეორე** აღმოსავლელი აუტსაიდერი „ფილადელფია“ „ნიუ ჯერსიზე“ მეტხანს შერჩა პლეი ოფს. ალენ აივერსონმა და მისმა რაზმმა შინ ორი თამაშიდან ერთი მოუგეს ჩემპიონ „დეტროიტს“ და სიცოცხლე სულ მცირე, ერთი თამაშით გაიხანგრძლივეს, ისიც თავისი ლიდერის წყალობით — ჭინკა აივერსონმა 29 აპრილს 37 ქულა ჩაუგდო „პისტონზს“ და ურიგოდ არც 1 მაისს გარჯილა. 36 მოიხვეჭა სერიის მეოთხე და მეორე შინაურ მატჩში, სადაც მის გუნდს სულ ცოტა დააკლდა გამარჯვებამდე და სერიაში ანგარიშის გათანაბრებამდე.

**ბოსტონი 2:2 ინდიანა**

30 აპრილი

**ინდიანა 79:110 ბოსტონი**

**ინდიანა:** ჯექსონი (24), მილერი (12)

**ბოსტონი:** პირსი (30 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა, 5 დაფარება), დევისი (15)

**რეჯი** მილერი იმდენად საჭირო კაცად იქცა „ინდიანა პეისერზისთვის“, რომ ეს გუნდი მისი გმირობების გარეშე უსუსური ბავშვების კრებულს ემსგავსება. შაბათს ღამით 39 წლის რეჯიმ მხოლოდ 12 ქულა მიაშველა თავისიანებს და ძნელი გამოსაცნობი არაა, რას უზამდა მათ „ბოსტონ სელტიქსი“. რა უქნა და, 31 ქულით შემუსრა. როგორც ჩანს, ბოსტონელთა თავკაცმა დოკ რივერსმა იპოვა „ინდიანას“ წინააღმდეგ ბრძოლის რეცეპტი — „დოკმა“ დამწყებ ხუთეულში ერთბაშად ოთხი უკანახაზელი დააყენა და ამით მილერს პერიმეტრზევე შეუკრა ხელ-ფეხი.

**ჩიკაგო 2:2 ვაშინგტონი**

30 აპრილი

**ვაშინგტონი 117:99 ჩიკაგო**

**ვაშინგტონი:** არენასი (32), ჰიუზი (21), ჯემისონი (21), ტომასი (20)

**ჩიკაგო:** ჩანდლერი (15 ქულა, 10 მოხსნა), დევისი (13), ჰაინრიხი (13)

2 მაისი

**ვაშინგტონი 106:99 ჩიკაგო**

**ვაშინგტონი:** დიქსონი (35), არენასი (23), ჯემისონი (18)

**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (18), პარგო (18), ჩანდლერი (13 ქულა, 13 მოხსნა), გრიფინი (13)

**„ვაშინგტონმა“** ბოლო 17 წლიწადში პირველი საპლეიოფო თამაში მოიგო და ამაზე არ გაჩერებულა, მეორეც მოაყოლა და სერიაში ანგარიში 2:2 გათანაბრდა. წლეულს „ვიზარდსი“ ყველას 3-კაციან გუნდად წარმოედგინა — ჯილბერტ არენასი, ლარი ჰიუზი და ანთაუნ ჯემისონი — ახლა კი აღმოჩნდა, რომ დედაქალაქელებს სხვებიც ჰყოლიათ ბურთის კალათში ჩაგდების შემძლენი. 30 აპრილს სერიის მესამე მატჩში ზემოხსენებული ტრიოს მხარდამხარ სანაქებოდ გაისარჯა ზორბა მეფარე იტან ტომასი, ვინც თამაშიდან ცხრა ტყორცნა, აქედან რვამ უწია „ჩიკაგოს“ კალათს და 20 ქულაც ჩაიწერა. ეს მისი საპლეიოფო კარიერის რეკორდია.

. თავისი წილი საპლეიოფო რეკორდი გამოაცხო ხუან დიქსონმაც. მხოლოდ ამან მეოთხე მატჩში იყოჩალა. დიქსონს წინა სამში ჯამში 25 ქულა თუ მოეგროვებინა, მაგრამ მეოთხეს წინ იმდენი ეხვეწა მწვრთნელ ედი ჯორდანს, მათამაშეო, რომ ამანაც მხარზე ხელი დაჰკრა და დიქსონმაც არ უმტყუნა — 35 ქულა „იშოვა“.



ფინიქსელმა სტივ ნეშმა მემფისელ ჯეი უილიამსს წიხლიც მოსდო და ბურთიც ჩაუგდო

### დასავლეთი

**ფინიქსი 4:0 მემფისი**

29 აპრილი

**მემფისი 90:110 ფინიქსი**

**მემფისი:** რაიტი (14), გასოლი (13), მილერი (13)

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (30), ჯონსონი (20), ჯექსონი (17), მარიონი (14 ქულა, 13 მოხსნა)

1 მაისი

**მემფისი 115:123 ფინიქსი**

**მემფისი:** გასოლი (28), უილიამსი (20), ჯონსონი (14)

**ფინიქსი:** ჯონსონი (25), ნეში (24), მარიონი (23 ქულა, 11 მოხსნა), ჯექსონი (19), სტუდემაიერი (18)

**ყველა** ამას ამბობდა და ასეც მოხდა — „ფენიქს სანზმა“ 4:0 გაანადგურა „მემფის გრიზლზი“ და ახლა შეუძლია, წყნარად დაელოდოს „ჰიუსტონსა“ და „დალასს“ შორის უკეთესს. „ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, ამათგან რომელი შეგვხვდება, ორივე მოვუგებთ“ — ყოყლოჩინობს „ფინიქსის“ ჯეელი ცენტრი ამარე სტუდემაიერი, ვისთვისაც, მგონი, რეგულარულის გასეირნებად ჩანს პლეი ოფი. როგორ გავკიცხოთ, როცა მან და მისიანებმა ასე ცალი ხელით მოიშორეს პირველი მეტოქე, მაგრამ ამარეს, როგორც საჩემპიონო კალიბრის გუნდის რჩეულ მექულეს, მაინც მეტი დაფიქრება მოეთხოვება.

**სან ანტონიო 3:1 დენვერი**

30 აპრილი

**დენვერი 78:86 სან ანტონიო**

**დენვერი:** ენტონი (19), მარტინი (18), კემბი (12 ქულა, 14 მოხსნა, 5 დაფარება)

**სან ანტონიო:** ჯინობილი (32), ჰორი (13)

2 მაისი

**დენვერი 115:126 სან ანტონიო**

ძირითადი დრო 107:107

**დენვერი:** ბოიკინსი (32), ენტონი (28)

**სან ანტონიო:** დანკანი (39 ქულა, 14 მოხსნა), პარკერი (29), ჯინობილი (24)

**როგორც** ყოველთვის, ახლაც საჩემპიონო გაქანების „სან ანტონიოს“ აშკარად მოუხდა სერიის სადებიუტო ჯახში „დენვერ ნაგისტთან“ მარცხი. ამ ცივმა შხაპმა აშკარად გამოაფხიზლა ტეხასელები და მათ ანგარიშზე უკვე სამი მიჯრითი მოგებაა. „სპურზს“ აგრეთვე მოუხდა ერთ-ერთი ლიდერის, მანუ ჯინობილის ფორმალური დაქვეითება — მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმა მბორგავი არგენტინელი რეზერვში „გადაისროლა“ და ესეც ასე უფრო ბასრი და მჭრელი გახდა. დენვერში ზედიზედ მოგებული ორ თამაშში სკამიდან ამდგარმა ჯინობილიმ ჯამში 56 ქულა გაშანსა და პოპოვიჩი თავისი თეორიების მართებულობაში დაარწმუნა.

**სიეტლი 3:1 საკრამენტო**

29 აპრილი

**საკრამენტო 116:104 სიეტლი**

**საკრამენტო:** ბიბი (31), ტომასი (22), მობლი (21), მილერი (14)

**სიეტლი:** ალენი (33), ჯეიმსი (22), რიდნორი (15)

1 მაისი

**საკრამენტო 102:115 სიეტლი**

**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (27), მობლი (16), ტომასი (15 ქულა, 14 მოხსნა), მილერი (15)

**სიეტლი:** ალენი (45), ლუისი (19), ჯეიმსი (17)

**„საკრამენტო** კინგზს“ 2000 წლის შემდეგ არ წაუგია პლეი ოფის საწყისი სერია, მაგრამ ახლა ყველაფერი აქეთ მიდის. სიეტლელმა „ზებგერითებმა“ სწორედ იმ საქმეში აჯობეს „მეფეებს“, რაშიც ესინი ასე იყვნენ განთქმულნი ამ ბოლო წლებში — ბურთის სწრაფ გათამაშებაში, შორი და საშუალო მანძილიდან სროლებში. ერთი სიტყვით შეტევაში. „სიეტლის“ ბომბარდირმა რეი ალენმა პირწმინდად მოუგო დუელი „საკრამენტოსას“ — პრედრაგ სტოიაკოვიჩს.

**დალასი 3:2 ჰიუსტონი**

30 აპრილი

**ჰიუსტონი 93:97 დალასი**

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (36), მინგი (20)

**დალასი:** ტერი (32), ფინლი (18), ნოვიცკი (18)

2 მაისი

**დალასი 103:100 ჰიუსტონი**

**დალასი:** ნოვიცკი (23 ქულა, 13 მოხსნა), ჰოვარდი (17), სტეკჰაუზი (17)

**ჰიუსტონი:** მინგი (30), მაკგრეიდი (25), ჯეიმსი (16)

**პლეი** ოფების ისტორიას სულ ორი შემთხვევა ახსოვს, ამა თუ იმ გუნდს პირველი ორი მატჩის სტუმრად წაგების შემდეგ შემოებრუნებინოს ჩარხი და სერია გამარჯვებით დაესრულებინოს. ბოლოს ეს „ჰისტონმა“ მოახერხა 1994 წელს, როცა „ფინიქსს“ 0:2 ჩამორჩა, მაგრამ მისსავე მოედანზე გააბათილა დეფიციტი და საბოოლდ იმარჯვა კიდეც. სხვათა შორის, „ჰიუსტონი“ მაშინ ჩემპიონიც გახდა.

ახლა კი ეს გუნდი ალბათ საპირისპირო კუთხით შევა ისტორიაში — თანამედროვე „როკიტსმა“ პლეი ოფი დალასში ორი მოგებით გახსნა, მას შემდეგ კი აგებს და აგებს, შინაც და გარეთაც. „დალასმა“ ეგრე არ უნდა თავხედობაო, ჰიუსტგნშივე გაუქვითა ანგარიში და მეხუთე მატჩში, უკვე შინ, ლიდერობაც ჩამოართვა. აკი ვეუბნებოდით „როკიტსის“ ლიდერ ტრეისი მაკგრეიდის, ჯერ საბოლოოდ მოიგე სერია და მერე იტრაბახეო, მაგრამ, როგორც ჩანს, ხმა ვერ მივაწვდინეთ ტეხასამდე.

**ბოტე ყორშია**

## საქართველოს ჩემპიონატი

30 აპრილი. ვერის ბაღი

**ავიამშენი 2:0 სსუ**

**ავიამშენი 121:58 სსუ**

33:16 21:17 30:8 37:17

**ავიამშენი:** ნიკოლაძე (33), ხოშტარია (4), აბრამიძე (6), ნინიაშვილი (24), ბერძენიშვილი (8); დოლიძე (19), ბოლქვაძე (14), ბ. ნოზაძე (7), წოწელია (6)

**სსუ:** პატარაია, გასიტაშვილი (2), იმედაშვილი (9), ცხაკაია (2), მეტრეველი (10); ონიკაშვილი (10), ჭოველიძე (9), ქვილითაია (8), ლ. ნოზაძე (2), ნონაშვილი (6)

**მსაჯები:** დავით ბერიკაშვილი, ლიკა ქაჯაია

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**დინამო 2:0 მაკაბი**

**დინამო 116:106 მაკაბი**

ძირითადი დრო 97:97

20:25 21:29 20:22 36:21 19:9

**დინამო:** გამყრელიძე (21), ხეცურიანი (24), ბ. ბერიშვილი (18), ჩხატარაშვილი (14), კილაძე; კრიმსაძე (15), ბექაური (9), სუხიშვილი (6), ი. მაისურაძე (2), ლოსაბერიძე (2), ლაფანაშვილი (5)

**მაკაბი:** ბადრიძე (17), კორკოტაძე (18), მერაბაშვილი (13), ვაშაკიძე (42), შერმადინი (16); გვარამაძე

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

30 აპრილი. ვერის ბაღი

**თსუ 2:0 თუჯი**

**თუჯი 66:88 თსუ**

20:14 12:21 12:30 22:23

**თუჯი:** ტყეშელაშვილი (10), გოგსაძე (4), არწივაძე (16), განელიანი (14), ჩაჩუა (5); ცეკვავა (6), ლიპარტელიანი (7), ჭოჭუა (4), ტაბატაძე

**თსუ:** ვეფხვაძე (13), ი. მაისურაძე (19), ფანჩულიძე (21), ბაქრაძე (5), მარხვაშვილი (1), კოკოლიშვილი (19), ბერაია (5), სანიკიძე (6), ლომიძე (2), ხიზანეიშვილი

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

ნახევარფინალური მატჩები გაიმართება 5 მაისს, ვერის ბაღში: ავიამშენი — თსუ (14.00); სტუ — დინამო (16.00)



ნიკა ვეფხვაძის (შუაში) თსუ „თუჯს“ მეოთხედფინალიდან დაუსხლტა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფინური ფინიში

## საქართველო პირველ ჯგუფს შესწვდა

**საქართველოს** ქალ ჩოგბურთელთა ნაკრებს ფედერაციის თასის გათამაშებაზე მიზნამდე ერთი გამარჯვება დააკლდა: თურქეთის კურორტ ანთალიას „ალი ბეი მანავგათის“ კორტებზე კარგად დაწყებულ საქმეს დაგვირგვინებალა სჭირდებოდა. ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში აღზევების შანსი კაპიტან ლალი ზერეკიძის გუნდმა ფინეთთან ჩოგნაობაში დაკარგა.

არადა ყველაფერი კარგად დაიწყო. ჩვენი გუნდის მეორე ნომერმა თინათინ ყავლაშვილმა ფინელთა მეორეს პია სოუმალაინენს აჯობა 6:1, 7:6 და ჩოგანი მაკა ჩახნაშვილს გადაულოცა. მსოფლიო კლასიფიკაციის ხუთასეულში მყოფ საქართველოს ნაკრების ლიდერს გაცილებით მძიმე ბრძოლა ელოდა რეიტინგსის 142-ე ნომერ ემა ლაინთან. პირველი სეტი თანაბრად ებრძოლა, თუმც წააგო 4:6. მეორეში კი ოდენ ერთი გეიმის აღება მოახერხა მეტოქის ექვსის წილ და საერთო ანგარიშიც 1:1 გახდა.

ლაინმა ქართველები ერთხელაც დაამწუხრა. სოუმალაინენთან ერთად წყვილებში ყავლაშვილისა და თათია მიქაძის ტანდემს სძლია და პირველი ჯგუფის საგზურიც ფინეთს დარჩა.

მეორე საგზურს რუმინელები დაეუფლნენ, რომლებმაც გადამწყვეტი გამარჯვება ლატვიელებთან იზეიმეს. ყველაზე სუსტები კი ჩვენი ვარაუდისამებრ ნორვეგიელები და ტუნისელები აღმოჩნდნენ. მომავალ სეზონს ისინი მესამე ჯგუფში ჩაატარებენ.

„ალი ბეი მანავგათის“ კორტებზევე ჩათამაშდა პირველი და მესამე ჯგუფების შეხვედრებიც. გაირკვა ის ოთხი ნაკრები, 2006 წლის ფედერაციის თასზე საქართველოს, ლიტვის, ლატვიისა და ირლანდიის ნაკრებებთან ერთად რომ ითამაშებს. პირველი ჯგუფიდან პოლონეთი და საბერძნეთი დაქვეითდნენ, ხოლო მესამედან ალჟირი და პორტუგალია აღზევდნენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# უ-ტა-ტა-ტა-ტა-ტა, მოიდა მამალი



გასტონ გაუდიო

**ეშტორილის ღია პირველობა**
**თიხნარი. საპრიზო 510 ათასი ევრო**

**ფინალი**

**გასტონ გაუდიო** (2, არგენტინა) — ტომი რობრედო (4, ესპანეთი) 6:1 2:6 6:1

**შარშანდელი** როლანგაროსობის გამარჯვებულმა, 26 წლის გასტონ გაუდიომ კარიერის მეექვსე, ხოლო წლის მესამე ტიტული მოიხვეჭა. მან საათსა და 48 წუთში აჯობა იმ დღეს გაოცდასამწლისებულ ტომი რობრედოს, ვისაც მათ აქამომდელ სამ შეხლაში იგი ორჯერ დაემარცხებინა. ეს გაუდიოს 23-ე საამსეზონო თიხნარმატჩი გახლდათ და, რაკილა აქედან მეოცეში იმარჯვა, წლევანდელ უჩაუქეს მეთიხნარეთა შორის ის მხოლოდ რაფაელ ნადალს ჩამორჩება — ამან 23 გამარჯვების წილ წლეულს მხოლოდ ერთხელ წაიფორხილა. ისე კი, შარშანდელ როლანგაროსობაზე გალაღების შემდეგ გაუდიმ მეათე თიხნარტურნირზე უკვე მეშვიდე ფინალს უწია, რაიც ასევე განსხვავებულით შესასმელი ამბავია.

ასევე შევახსენებთ, რომ ეშტორილის გარდა მის წლევანდელ მონაგარს ვინადელმარული და, ბუენოსაირესული თიხნარტიტულები შეადგენს.

**BMW OPEN**
**მიუნხენი. თიხნარი.**
**საპრიზო 302 ათასი ევრო**

**ფინალი**

**დავიდ ნალბანდიანი** (1, არგენტინა) — ანდრეი პაველი (5, რუმინეთი) 6:4 6:1

**თავის** მეათე ფინალში გარჯილმა დავიდ ნალბანდიანმა კარიერის მესამე ტიტული მოიმკა. 23 წლის არმენოარგენტინელს მხოლოდ 69 წუთი დასჭირდა საიმისოდ, რათა რუმინელ პაველს გასწორებოდა. გამარჯვებულისთვის დათქმული 44 100 ევროს გარდა მას ძღვნად ერგო უთაზესი ვერცხლისფერი BMW Z4-ც. სხვაფრივ — 1983 წლიდან ანუ მას მერე, რაც რომ გილერმო ვილასმა კიცბიუელში გაილაღა, ხოლო მის პარალელურად ხოსე ლუის კლერკმა ვაშინგტონში იპირველა, ორ არგენტინელს ერთსა და იმავე კვირაში აღარ უმარჯვია. ასე რომ, განსხვავებულზე ჩოგანი არც ამ შემთხვევაში უნდა გვიკრათ — მით უფრო ამ ნაფაიქევს და რამე!

**J & S CUP**
**ვარშავა. თიხნარი.**
**საპრიზო 585 ათასი $**

**ფინალი**

**ჟუსტინ ენენ-არდენი** (ბელგია) — სვეტლანა კუზნეცოვა (2, რუსეთი) 3:6 6:2 7:5

**უ-ტა-ტა-ტა-ტა-ტა,** მოიდა მამალი!! რაც კი კორტს ნატრავმალ-ნავირუსალი სუპერბელგიელი გოგოცუნები — კიმ კლაისტერსი და ჟუსტინ ენენ-არდენი მოუბრუნდნენ, გაწყდა რუსქალთა სახსენებელი. აი, ახლაც, ჯერ ორი კვირის წინ ჩარლსტონურ თიხნარზე გამარჯვებით ნაწვნევი ზარხოში არ გამოენელებინა, ჭინკა ჟუსტინმა ვარშავაში გაიჯეჯილა და ფინალში მეორე ნომრად განთესილი სვეტლანა კუზნეცოვა დაიმორჩილა, ის კუზნეცოვა, ვინაც შარშან — მის არყოფნაში — აშშ-ის ღია პირველობაზე რუსეთს (ანასტასია მისკინასა და მარია შარაპოვას მერე) მიჯრით მესამე სლემტიტული მოუნაგრა. ეს ჟუსტინის 21-ე საკარიერო ტიტული გახლავთ და ამ მაჩვენებლით იგი გაუტოლდა საყოველდროო მეტიტულეთა სიაში მეოცე ალაგას მყოფ პემ შრაივერს. გარდა ამისა, ამ გამარჯვებით მისმა ფულადმა ნაქუჩალმა 8 მილიონ დოლარს გადააჭარბა, რაიც აქამდე მხოლოდ 14 სახელიან მდედრს მოეხერხებოდა.

და კიდევ — საამკვირაო რეიტინსგიაში ის უკვე მე-15 საფეხურზე იდგება და — უ-ტა-ტა-ტა-ტა-ტა.



**მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში**
**V ეტაპი. იტალია. 350,2 კმ**

# საჩემპიონო პოდიუმი




სებასტიენ ლოებმა (მარჯვნივ) წლეულს მესამე დიდი პრიზი მოიგო

**ორი** წელიწადია, რაც იტალიის რალიმ მისამართი შეიცვალა და სან რემოს ნაცვლად კუნძულ სარდინიაზე ტარდება. ქალაქ ოლბიას მახლობლად მიწიან, ვიწრო გზებზე ეკიპაჟებს სამ დღეში 1192 კილომეტრი უნდა გაევლოთ, აქედან 350 — ჩქაროსნულ რეჟიმში. რთული პირობების გამო 11 მანქანა ბრძოლას ვადამდე გამოეთიშა.

რბოლა ჩემპიონატის ლიდერმა პეტერ სოლბერგმა გახსნა. ნორვეგიელი 30-კილომეტრიანი მონაკვეთის ერთ-ერთ მოსახვევში შეცდა და ათი წამი წააგო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ მარკუს გრონჰოლმთან. შარშანდელი ჩემპიონი სებასტიენ ლოები მეცხრე იყო ოცწამიანი ჩამორჩენით, თუმც მეორე ჩასათვლელი უბანი ყველაზე სწრაფად გაიქროლა და მეორე პოზიციაზე აინაცვლა.

საშინელი ავარია შეემთხვა გრონ- ჰოლმს. არც ისე რთულ მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა, „პეჟო“ გზას გადასცდა და ფერდობზე სამჯერ ამოყირავდა. საბედნიეროდ, ეკიპაჟი არ დაშავებულა. მაყურებლებმა გვერდზე წამოწოლილი, დალეწილი მანქანა წამოაყენა და მარკუსმა როგორღაც მიაღწია სერვისის პარკამდე, სადაც მექანიკოსებმა ლამის ნახევარი ბოლიდი შეცვალეს.

ლიდერობა ლოებმა და მისმა მონაკოელმა თანამძღოლმა დანიელ ელენამ იგდეს ხელთ და ბოლომდე აღარც დაუთმიათ. გრონჰოლმმა უზარმაზარი ჩამორჩენა თანდათან შეამცირა და ორი მონაკვეთის მოგებით რბოლა მესამე ადგილზე დაასრულა. ექსჩემპიონი სოლბერგი მეორე იყო, რის გამოც საერთო ჩათვლაში მეწინავეობა „სებს“ გადაულოცა, რომლისთვისაც ეს 60-ეტაპიან კარიერაში მე-13 დიდი პრიზია.

შეჯიბრებაში მსოფლიოს სამი ჩემპიონი გამოდის და ზედიზედ მეორედ მოხდა, რომ სამივენი ერთად შედგნენ პოდიუმზე.

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | 4სთ; 06.33,7 |
| 2 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | ჩამორჩა 59,6 |
| 3 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | 3.07,3 |
| 4 | მარკო მარტინი (ესტონეთი, პეჟო) | 4.12,3 |
| 5 | ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, ფორდი) | 8.29,3 |
| 6 | რომან კრესტა (ჩეხეთი, ფორდი) | 9.29,2 |
| 7 | ანტონ ვარმბოლდი (გერმანია, ფორდი) | 9.59,8 |
| 8 | იან პიკალისტო (ფინეთი, სიტროენი) | 10.21,2 |

**საერთო ჩათვლა**

1 ლოები — ელენა 35 ქულა; 2 პ. სოლბერგი — მილსი 34; 3 მარტინი — პარკი 28; 4 გრონჰოლმი — რაუტიაინენი 26; 5 გარდმაისტერი — ჰონკანენი 24; 6 როვანპერა — პიეტილაინენი (მიცუბისი) 11; 7 პანიზი — პანიზი (მიცუბისი) 7; 8-9 კრესტა — მოჟნი 5; დიუვალი — პრევო (სიტროენი) 5; 10-11 ვარმბოლდი — ორი 4; ჰ. სოლბერგი — მენკერუდი (ფორდი) 4

**კონსტრუქტორთა თასი**

1 პეჟო 54 ქულა; 2 სიტროენი 43; 3 სუბარუ 36; 4 ფორდი 33; 5 მიცუბისი 24; 6 შკოდა 5

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მწუხარებას
გამოთქვამს ამავე ორგანიზაციის სპორტული დირექტორის
კონსტანტინე ღლონტის ბაბუის
**ივანე ცხოვრებაძის**
გარდაცვალების გამო და
სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# მოჭიდავეები უწყლოდ, უშუქოდ და უპრეზიდენტოდ

**სამი** თვის წინათ უპრეზიდენტოდ დარჩენილ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას თავკაცი სულ ცოტა, ივნისამდე არ ეყოლება. აღმასკომის მიერ დღეისთვის დანიშნული ყრილობა საპრეზიდენტო არჩევნებით უნდა დაგვირგვინებულიყო, მაგრამ თავისივე გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინ თავად აღმასკომმა შეცვალა და ყრილობა 1 ივნისისთვის გადადო.

მოვლენების ამგვარ განვითარებას არავინ ელოდა. მოჭიდავეები არჩევნებისთვის ემზადებოდნენ და უკვე მომავალ არჩევანზე ღიადაც საუბრობდნენ. პრეზიდენტობის სამი კანდიდატიდან ფავორიტი რამდენიმე კვირის წინ გამოიკვეთა. პარლამენტარი ვალერი გელაშვილი რომ გაიმარჯვებდა, ეჭვიც აღარავის ეპარებოდა. ფედერაციის პირველკაცის მოვალეობის შემსრულებელი თემურ ყაზარაშვილისა და მეორე პარლამენტარის, ნაციონალისტ კახა გეწაძის შანსები, საერთო აზრით, ლამის ნულის ტოლი იყო. ერთნი ყაზარაშვილისგან კანდიდატურის გელაშვილის სასარგებლოდ მოხსნაზეც ალაპარაკდნენ, მაგრამ იქამდე საქმე ველარ მივიდა, ყრილობა გადაიდო.

მართალია, გადაწყვეტილება ფედერაციის პრეზიდიუმმა და ყრილობის მოსამზადებელმა სამუშაო ჯგუფმა ერთობლივი მოლაპარაკების შემდეგ მიიღეს, მაგრამ, როგორც ამბობენ ეს ხელისუფლების რეკომენდაციით მომხდარა, რომელიც თურმე გეწაძის კანდიდატურას ემხრობა. არადა, მოჭიდავეებს თავიანთი ფავორიტი უკვე არჩეული ჰყავდათ. საჭიდაო სამყაროში გავრცელებული ეს ამბავი გუშინ ყრილობის მოსამზადებელი ჯგუფის წევრებმაც დაგვიდასტურეს.

რა და როგორ იქნება, ჯერ არავინ იცის. ჭიდაობაში მოტრიალე ხალხი ერთსულოვანია, აზრს ვერც 1 ივნისამდე შეგვაცვლევინებენ და ვერც მას შემდეგო. ფარ-ხმალს არც თავად გელაშვილი ყრის, კანდიდატურის მოხსნას არ აპირებს, რაც გუშინ თავადვე გვითხრა.

კულუარებში ვაკის ფალავანთა კლუბში არსებულ გაუსაძლის პირობებსაც მომავალ არჩევნებს უკავშირებენ. მოჭიდავეებს არც შუქი აქვთ, არც წყალი და მათი აზრით, თუ ამ ორ მოვლენას მართლაც საერთო ძირი აქვს, აჯობებს, კანდიდატის ლობირების ნაცვლად ხელისუფლების აქტიურობა საქართველოს ნაკრების წევრთათვის ნორმალური სავარჯიშო პირობების შექმნაში გამოიხატოს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# წყალბურთელთა სამკუთხედი: თბილისი — ხარკოვი — სტამბოლი

**დღეს** სტამბოლში იწყება ევროპის ახალგაზრდა (19-წლამდე) წყალბურთელთა ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც გამოდის. უფრო სწორედ, ეს არის თბილისის გუნდი, რომლის მეტოქეებიც ქვეჯგუფში იქნებიან სლოვენიის, მაკედონიის, თურქეთის, რუმინეთის, ლიტვისა და მოლდავეთის გუნდები.

ამ შეჯიბრებისთვის ჩვენი წყალბურთელები კარგა ხანს ემზადებოდნენ და საამისოდ უკრაინის ღია ჩემპიონატსაც იყენებდნენ. მათ ბოლო დღეები სწორედ ხარკოვში გაატარეს, სადაც უკრაინის ჩემპიონატის V ტურის მატჩებში ითამაშეს.

ჩვენი წყალბურთელები ამ შეხვედრებში პრაქტიკულად ულეგიონერებოდ გამოდიოდნენ, რათა ევროპის ჩემპიონატისთვის საბრძოლო შემადგენლობა გამოეცადათ. ერთადერთი გამონაკლისი ლაითაძე გა[illegible] გუნდს შეუერთდა.

უკრაინაში ჩვენმა წყალბურთელებმა წააგეს ჩემპიონატის ლიდერ მარიუპოლის გუნდთან და ხარკოველებთან, ხოლო თავად მოუგეს ლვოვისა და მოლდავეთის გუნდებს, რის შემდეგადაც ქართველი წყალბურთელები უკრაინის ჩემპიონატში კვლავ მეორე ადგილზე არიან. ამ შეხვედრების შემდეგ ისინი უკრაინაში შეკრებაზე დარჩნენ და ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისი გააგრძელეს. იქვე გამართეს სპარინგ-შეხვედრები, სადაც მათი მეტოქეები კიევის „დინამოს" უფროსთა გუნდი და უკრაინის ახალგაზრდული ნაკრები იყო.

ჩვენი წყალბურთელები თბილისში სააღდგომოდ დაბრუნდნენ, გუშინწინ კი თურქეთში გაემგზავრნენ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# ნიჭი და უფლება

## მოფარიკავეებს დარბაზს დაუნგრევენ და აუშენებენ



მორის სახვაძე



**ფარიკაობა სპორტის იმ სახეობათაგან ერთ-ერთია, რომელიც ბოლო წლებში საქართველოში დიდი მიღწევებით არ გამოირჩევა. უმთავრესი მიზეზი არახელსაყრელი პირობებია, თორემ მოფარიკავეების უპერსპექტივობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჭაბუკობის ასაკამდე ქართველი სპორტსმენები ოსტატობით არავის ჩამოუვარდებიან და საერთაშორისო ასპარეზზეც ახერხებენ შედეგის ჩვენებას, შემდეგ კი ნელ-ნელა იკარგებიან, მარტო ნიჭით ფონს გასვლას ველარ ახერხებენ. მათთვის სათანადო პირობების შექმნა დღემდე ვერ ხერხდება და შედეგსაც შესაბამის ვიმკით. დიდებში მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე თუ უბარლოდ ტურნირებზე უფორმო და უინვენტარო ქართველებისთვის მთავარი მონაწილეობაა. ხშირად საერთაშორისო არენაზე გასვლა საერთოდ ვერ ხერხდება. ათენის ოლიმპიადამაც უჩვენოდ ჩაიარა და სავარაუდოდ, ვერც პეკინამდე მოესწრება მდგომარეობის გამოსწორება. საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალურ მდივან მორის სახვაძეს გუშინ შევხვდით და იგი სპორტის ამ სახეობის დღევანდელობაზე დაწვრილებით გვესაუბრა, პირველ რიგში კი ნორჩი მოფარიკავეების წარმატება გვახარა.**

— ახლახან სტამბოლში 1992-94 წლებში დაბადებულ მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა, რომელშიც 7 ქვეყნის 250-მდე სპორტსმენი გამოვიდა გვიამბობს მორის სახვაძე — საქართველო ქუთაისის, რუსთავისა და ბათუმის გუნდებმა წარმოადგინეს და საკმაოდ წარმატებულადაც, ჯამში სამი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედლის აღება მოვახერხეთ.

— *მედლები რომელი გუნდის წევრებმა აიღეს?*

— ორი ოქრო ქუთაისელებმა — ავთანდილ გიორგაძემ და ხატია ლელაძემ მოიპოვეს. გიორგაძემ რაპირაში იმარჯვა, ხოლო ლელაძემ დაშნით ფარიკაობაში. ორივე 1994 წელსაა დაბადებული. პირველის მწვრთნელი ლადო გოქაძეა, ხოლო მეორესი თამაზ ოყროშიძე. ხმლით ფარიკაობაში იჩემპიონა გელა მიქელაძის გაწვრთნილმა ბათუმელმა ლაშა მიქელაძემ. იგი 1992 წელსაა დაბადებული და საკმაოდ პერსპექტიულ სპორტსმენადაც ითვლება. 11 წლის რუსთაველმა გიორგი ქაფიანიძემ კი დაშნით ფარიკაობაში მესამე ადგილი დაიკავა. გიორგის მამამისი სოსო ქაფიანიძე ავარჯიშებს. საინტერესოა, რომ აფხაზეთიდან დევნილთა ამ ოჯახში ოთხი მოფარიკავე იზრდება.

— *ელოდით პატარებისგან ასეთ წარმატებებს?*

— ქართველი ბავშვები ამ დონის ტურნირზე პირველად გამოდიოდნენ და ამიტომ მედლების მოპოვება განსაკუთრებულად სასიხარულო იყო. ერთხელაც დავრწმუნდით, რომ კარგი თაობა მოდის. მაგრამ მთავარი მათი ნიჭის ხელშეწყობა და საერთაშორისო ტურნირებზე რეგულარულად მონაწილეობაა. სამწუხაროდ, ეს პრობლემა დღემდე მოუგვარებელია და მის გამო არაერთი ნიჭიერი სპორტსმენი დაგვიკარგავს.

— *სტამბოლში გამგზავრებაში ვინ დაგეხმარათ?*

— მეცენატი ხალხი ჯერაც არსებობს. ფარიკაობა ბოლომდე რომ არ ჩაკვდა, სწორედ მათი დამსახურებაა. ამ ტურნირისთვის ხელი რუსთავისა და ქუთაისის მერიებმაც გაგვიმართეს. თუ ხელშეწყობა მომავალშიც გაგრძელდა, ამ ბავშვების სახით ძლიერი სპორტსმენები გაგვეზრდებიან.

— *ათენის ოლიმპიადამ ქართველი მოფარიკავეების გარეშე ჩაიარა...*

— იმ ოლიმპიურ ციკლში ირაკლი ზამბახიძეს ლიცენზიამდე სულ ცოტა დააკლდა. ალბათ უპრობლემოდაც აიღებდა, საერთაშორისო ტურნირები რომ არ გამოეტოვებინა. საერთოდ, ფარიკაობაში ლიცენზიის მოპოვება ძალიან რთულია. წლის განმავლობაში დაახლოებით 10-15 ტურნირში მაინც უნდა მიიღო მონაწილეობა. ეს ტურნირები ყველა კონტინენტზეა გადანაწილებული და მათზე სამგზავრო ფინანსები ჩვენთვის წარმოუდგენელი ფუფუნებაა. ძნელი დასაჯერებელია, უახლოეს მოავალში რამე შეიცვალოს, მით უმეტეს, რომ ფარიკაობა აქაური სპორტის შეფების მიერ გამორჩეულ 14 პრიორიტეტულ სახეობაშიც ვერ მოხვდა. ჩვენი გეგმა უფრო შორეულ პერსპექტივაზეა გათვლილი. მანამდე კი იმედია, ნელ-ნელა სასურველი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც შეიქმნება.

— *ამ იმედის საფუძველი თუ არსებობს?*

— ისევ ინვესტორებს ვახსენებ. უკვე რეალურად გამოჩნდა ხალხი, ვინც ერთ წელიწადში უმაღლესი დონის სავარჯიშო დარბაზის აშენებას გვპირდება. ვაკეში, სადაც ამჟამად ვვარჯიშობთ, ის შენობა უნდა დაინგრეს და მის ადგილზე ევროპული სტანდარტების დარბაზი აიგოს. ამის შესახებ სპორტის დეპარტამენის ხელმძღვანელმა დავით ნამგალაურმაც იცის და დახმარებაც აღგვითქვა.

— *საქართველოს ჩემპიონატების ჩატარებას თუ ახერხებთ?*

— რა თქმა უნდა, ვახერხებთ. საქართველოში ფარიკაობა საკმაოდ პოპულარულია და შიდა პირველობებზე 100-120 ბავშვი მუდამ უპრობლემოდ გროვდება.

— *სპორტული ინვენტარისა და ტექნიკის მხრივ როგორაა საქმე?*

— ფარიკაობა სპორტის საკმაოდ ძვირი სახეობაა. ერთ სპორტსმენს წლიურად დაახლოებით ათასი ლარის ინვენტარი სჭირდება. ეს ჩვენს პირობებში, როცა საერთაშორისო ტურნირებით ვერ ვართ განებივრებულნი, თორემ მათზეც რომ გამოვდიოდეთ, თანხის ოდენობაც გაცილებით მეტი იქნებოდა. ისევ სტამბოლის ტურნირს მივუბრუნდები და გაგიმხელთ, რომ ჩვენს ბავშვებს იარაღი თურქეთის ფარიკაობის ფედერაციამ ათხოვა. ამ ასაკში იარაღის ზომები შედარებით მცირეა, საქართველოში კი დიდიც და პატარაც ერთნაირი იარაღით ვარჯიშობს. თითქმის გამოუსადეგარია ელექტრო აპარატურაც, რომელიც სამი წლის წინ საერთაშორისო ფედერაციამ გვაჩუქა. მას შემდეგ წესები შეიცვალა და ამ აპარატურას ახლით თუ ვერ შევცვლით, მისი გადაკეთება მაინც უნდა მოვახერხოთ.

— *ახლო მომავალში თუ იგეგმება ქართველი სპორტსმენების დიდ არენაზე გასვლა?*

— 18 ივნისს მოსკოვში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ჭაბუკთა საერთაშორისო სპორტული თამაშები იწყება და მასზე ოცამდე სპორტსმენის წაყვანას ვაპირებთ. ვინც უკეთეს შედეგს აჩვენებს, საშემოდგომო ტურნირებზე წამსვლელ გუნდშიც ის მოხვდება. ოქტომბერში ორი დიდი შეჯიბრია, ჭაბუკთა ევროპისა და დიდების მსოფლიოს ჩემპიონატები.

— *ბოლოს თქვენს სამსაჯო საქმიანობაზეც გკითხავთ. ამ ამპლუაში თუ აპირებთ რომელიმე ტურნირზე გამგზავრებას?*

— ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომისიის წევრი ვარ და ტურნირებზეც მხოლოდ დელეგატის ან კომისრის რანგში ჩავდივარ ხოლმე. თვის ბოლოს სენეგალის გრან პრიზე ვარ მივლენილი. უშუალოდ მსაჯობის უფლებას არც თანამდებობა მაძლევს და აღარც ასაკი. ათენის ოლიმპიადაზეც დელეგატობა გავწიე, თუმც ერთი ქართველი მსაჯი იქ მაინც იყო. მეოთხე წელია, მორის სახვაძე ყველა დიდ ტურნირს მსაჯობს. როგორც ხედავთ, ქართულ ფარიკაობას მსაჯების მხრივ არ უჭირს. ღმერთმა ქნას, მალე სპორტსმენებმა გვაჯობონ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# პირველი ფერხული

## საქართველოს ცამეტკაცას გამარჯვებებს საფუძველი ტიტების ქვეყანაში ჩაეყარა

**ევროპის ერთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპი**

29 აპრილი.
ჰოიკ ფან ჰოლანდი (ჰოლანდია)

**ჰოლანდია 14:34 საქართველო**

**ჰოლანდია:** ბრინბურგი, ფოქსტონი, ბარეტი, ბარკელი, ტრეუ, მორეე (კაპიტანი), დე იიგერი, სმიტი, ვილიამსონი, ბრაინბურგი, დან დერ ბროიკი, იონკერსი, შტანფორდი. სათადარიგოები: ქუა, დენ ენგლესმანი, კლოპენბურგი, ფან დამი.
**3 ლელო:** ვილიამსონი, ბრაინბურგი, ბარეტი
**1 გოლი:** დე იიგერი
**საქართველო:** მაჩხანელი, ჟამუტაშვილი, კობერიძე, ხაჩირაშვილი, გილაური, ალანია (კაპიტანი), კობახიძე, ქობელაშვილი, ანდღულაძე, ხოსიტაშვილი, ტრაპაიძე, ღვინჯილია, ახვლედიანი; სათადარიგოები: ასათიანი, ქარაბაკი, ნიშნიანიძე, ჯამრულიძე
**7 ლელო:** კობერიძე (4), მანჩხანელი (2), ქობელაშვილი
**3 გოლი:** კობახიძე

**დებიუტი** შედგა. საქართველოს ცამეტკაცა ნაკრებმა პირველი საერთაშორისო მატჩი ითამაშა ევროსარბიელზე და პირველი გამარჯვებაც მოიპოვა. „13 ქართველის" ნათლობა როტერდამთან ახლოს, დაბა ჰოიკსში, საფეხბურთო კლუბ „ჰოიკსი ბოიზის" სტადიონზე შედგა.

ტრიბუნები გადაჭედილი იყოო, რომ ვთქვათ, სასაცილოც იქნება და დაუჯერებელიც. ერთი კი ფაქტია, მცირერიცხოვანმა მოსეირეებმა, რომელთა შორისაც ჰოლანდიაში მცხოვრები ქართველებიც ერივნენ, ნაღდი და ლამაზი სანახაობა იხილეს.

თამაშის დაწყებამდე ბავშვთა ანსამბლებმა ცოცხლად შეასრულეს ნიდერლანდებისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები, შემდეგ კი ჩვენებურთა „ფერხულის" ჯერიც დადგა. როგორც ევროპული ლიგის რაგბის ვებ-გვერდი იუწყება, ქართველების მიერ შესრულებულმა საბრძოლო ცეკვამ საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია. არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ „13 ქართველის" ქორეოგრაფი ილიკო სუხიშვილია.



ირაკლი მაჩხანელმა მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზითაც გაიხარა

პირველ წუთებში ორივე მხარეს ნერვიულობა ეტყობოდა და ტექნიკური წუნი, განსაკუთრებით გადაცემების დროს, ხშირი იყო, თუმც გუნდებმა მალევე „იპოვეს" თამაში და დიდებული რაგბიც გაჩაღდა.

დებიუტში ყოჩაღად მიმწოლი ჰოლანდიელების ნავარდს კობერიძის ისტორიულმა პირველმა ლელომ დაუსვა წერტილი. ლელო-ლამაზი სიტყვაა რაგბის მოყვარულისთვის, მაგრამ გიორგის მიერ გატანილი ორმაგად ლამაზი გამოდგა. ჩვენებურმა ბურთით ხელში ბარე 80(!) მეტრი ირბინა და შემდეგლა გადაკვეთა მეტოქის ჩათვლის მოედანი. ქულათა ფვლა რომ არ აგერიოთ, აქვე გეტყვით და შევთანხმდეთ, რომ ცამეტკაცა რაგბიში ლელო 4 ქულაა, გარდასახვა და საჯარიმო დარტყმა კი — 2.

არ გასულა დიდ ხანი, რომ იმავ კობერიძემ, რომელიც ევროლიგურმა ვებ-გვერდმა მაჩხანელთან ერთად ლიგის რაგბის ამომავალ ვარსკლავად მოიხსენია, მეორე ლელოს წყალობით ანგარიში 10-მდე გაზარდა.





მასპინძელთა იმედებს ბევ ვილიამსონმა შეაშველა ხელი და პირველივე ტაიმში სიკვდილს გადაარჩინა. მაშ ასე, ვილიამსონის ლელო და ანგარიში 10:6 ხდება.

ეგრე არ უნდაო და ირაკლი მაჩხანელმა შესვენებამდე ერთხელაც გაილელოვა. 14:6 და გუნდებიც გასახდელისკენ დაიძრნენ.

მეორე ტაიმში ბურთისა და მოედნის სრულ ბატონ-პატრონებად ქართველები შეიქნენ. აღარც დაცვა აპარპაშებდა ჰოლანდიელებს და შემტევები ხომ ცალკე აწიოკებდნენ იმათ ნახევარს. მასპინძლები ქობელაშვილის მიერ 45-ე წუთზე გატანილმა ლელომ გატეხა.

საუკეთესო ეპიზოდის შემოქმედი „ორანჟების" მხრიდან რაინერ ბრაინბერგი გახლდათ. მართლაც ლამაზი ლელო გაუტანია. მაგრამ კობერიძისა და მაჩხანელის მეცადინეობით ქართველებმა ლელოების რაოდენობა შვიდამდე გაზარდეს. კიდევ ერთი ჰოლანდიური ლელო კი ჯოელ ბარეტის ანგარიშზეა.

„ოშის სახელობის საერთაშორისო თასის" — ევროპულ ერთა ტურნირის დირექტორი გრეიმი ტომსონი მატჩს თვალყურს ტრიბუნიდან ადევნებდა და დასასრულს არც კომენტარის გაკეთება დაუზარებია:

„ფანტასტიკური თამაში იყო, სავსე ენთუზიაზმითა და ოსტატობით. ორივე გუნდმა აჩვენა, რომ ლიგის რაგბი მათ ქვეყნებში პროგრესის გზაზეა. ეჭვი არ მეპარება, რომ მალე ისინი გაცილებით მეტს შესძლებენ".

აქვე შეგახსენებთ, რომ კიდევ ერთი გუნდი, რომელიც 6 ერის თასზე მოხვედრას ლამობს, სერბეთის ნაკრებია. იგი ჰოლანდიას შინ მიიღებს, ჩვენთან სათამაშოდ კი საქართველოში ჩამოსვლა მოუწევთ.

სერბეთის ლიგის რაგბის ფედერაცია 2001 წელს დაარსდა. თუმცა ისეთი გუნდი არაა, „13 ქართველს" მათი დამარცხება გაუჭირდეს.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „13 ქართველი" ზერელედ მიუდგება მატჩს, რომელიც სავარაუდოდ ივლისში გაიმართება. ხუმრობა საქმე ხომ არაა პირველი მატჩი საკუთარი ტრიბუნების წინ. ესეც ხომ თავისებური დებიუტია.

**ლადო ფულუკიძე**

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge